ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

№ XII

დეკემბერი

1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა"

I ფერადი სურათი უცხო ცხოვრებიდან. 2
II მზე და მთვარე ლექსი ვაკეისა 3
III კატის გულმტკივნეულობა 6
IV ღმერთმა მომცა, საშობაო ამბავი, ან. წერეთლისა . 7
V მაზრის მოსამართლე მიხეილი. საშობაო მოთხრობა. (რუსულით) თარგმ. ილ. ფერაძეს 17
VI რიკკი-ტიკკი-ტავი, (შემდეგი) თარგ. ელ. წერეთლისა . 23
VII შეთვლილი ლექსი შიო მღვიმელისა 35
VIII ამხანაგები, მოთხრობა, ივ. გომართელისა 36
IX ყვავი, თქმულობა. (რუსულით.) დასასრული თარგმ. ეკ. მესხისა 46
X ქვა—ნახშირი ე. ჭ—ისა 58
XI „კიბუნ-დეიზინ" მოთხრობა ჯენზეი მურაისა (გაგრძელება) ალ. ნათაძისა 63
XII ცოდნის გამარჯვება (გაგრძელება) შ. 70
XIII სარჩევი 1908 წლისა 75

საყმაწვილო ნასატებიანი ჟურნალი
დაარსებულია 1890 წელს

ჯეჯილი

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისთვის და მოზრდილთათვის ფასი წლიური: ქალაქ გარეთ 5. მ. ქალაქში 4 მ. ცალკე ნომერი 40.

ადრესი: არტილერიის ქუჩა № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ XII

დეკემბერი, 1908

წელიწადი მეცხრამეტე

თ ფ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, რუსსკაია ქუჩა, № 3.
1908

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზე და მთვარე.

(გადმოღებული)

ნელაში მთვარემ უეცრად
აკვანს სხივები მიჭფინა.
,,რა აკაშკაშებს?'' — შემკრთალმა
ემაწვილმა წაიტიტინა.

—

რამ შეგაშინა, ჰაწაწავ,
სომ არა დაგზმანებია?
მთვარის მაგვარი კაშკაში
ფუფალას ნაბძანებია!

—

მთელი დღე ცაზე სრიალით
დაღალულ-დაქანცულ მზესა
ცისა და ქვეყნის მფლობელმა
სალამოს ეს გაუწესა:

—

,,ეძარა, რაც დაბლა ქვეყანას
მაღლით სხივები ჭფინეო!
აწ დროა, ზღვაში ჩახვიდე...
დაწექ და დაიძინეო!

—

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქვეყანაც დაღალულია,
ნაშრომი... მოასვენეო!
ხვალ დილას ადრე ამოდი
და ისევ გაათენეო!“

—

სხივებ შეკრებით დაეშვა
მზე დასავლეთის მხარესა,
კარზე მიადგა უნცროს ძმას
და შეეკედრა მთვარესა:

—

„ჩემო ლამაზო, ჰირ-ბადრო,
ნაზო, ნარნარო მთვარეო!
მე მივალ დასაძინებლად,
თუ ძმა ხარ მოშეხმარეო!“

—

ახლა მზეს სძინავს და მთვარე
დარაჯობს მის მაგიერად...
და აი თუ რად კაშკაშებს
და სხივებსა ჰფენს ძლიერად.

—

ღამე ნათევი, ხვალ დილას
მთვარე აღარას დაეძებს,
მზეს მიადგება კარებზე...
დაუკაკუნებს... აღვიძებს:

—

ერ. ბ. ... ბიბლიოთეკა

,,მამლის ეიგილი გადვიდა,
ჩიტებმა იწყეს ფრთქიალი,
ცისკრის დარეკეს... ადექი,
გამოახილე შენც თვალი!''

—

გამოიხედავს მზე, ჰკითხავს:
,,რად დაგკარგვია ფერიო?..
რაცა-კი მოძხდარა წუხელი,
მიამბე ეველაფერიო?''

—

მთვარეც უამბობს უფროსს ძმას
მთელ ღამის თავ-გადასავალს;
თვითონ ცისკართან შედგება,
მზეს დაულოცავს გზას და კვალს.

—

თუ ღამე ტკბილი ეოფილა,
მშვიდობიანი და წყნარი,—
მზეც მხიარულად ამოვა,
პირ-ნათელ, პირ-მომცინარი;

—

თუ არა... განრისხებული
ქვეყანას დაეძდურება,
მაღლა წამოვა პირ-ქუშად,
ღრუბლებით შეიბურება.

—

ცა ატირდება.. თან ქარიც
ზუზუნით ეტევის მაღალ ბანს,
და სათამაშოდ ემაწვილებს
მინდორში არვინ წაიევანს.

აკაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კატის გულმტკივნეულობა

ამზარეულოში ერთ საღამოს არავინ იყო, საჭმლის გამკეთებელი დედაკაცი ზემო სართულში ასულიყო და ცეცხლთან გობი ცომით დაეტოვებინა, რომ კარგათ გაღუებულიყო.

უცებ ზემო სართულში ავარდა კატა, კნავილი დაიწყო და დედაკაცს გარს უვლიდა, თითქოს რაღასაც ემუდარებოდა; თხოვნა რომ არ გაუვიდა, კატა ჩაფრინდა კლანჭებით დედაკაცის წინსაფარს და რაც ძალი ჰქონდა თავისკენ ეწეოდა. დედაკაცი ძალაუნებურათ გამოჰყვა.

თურმე კატის მეგობარი თუთიყუში ცომში თავამდის ჩაფლულიყო. ის გამწარებული ყვიროდა და ფრთებს აფრთხიალებდა. კატას რომ დროზე არ მოეყვანა მზარეული დედაკაცი, თუთიყუშს თავიც ჩაეფლებოდა ცომში და დაიხრჩობოდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღმერთმა მოიცა.

სასობილი მოთხრობა.

ემოდგომის სუსხიანი საღამო იდგა. ჰატარა სოსო მწარეთ ჩაფიქრებული კერას წინ იჯდა. ქოხში სიჩუმე იყო. ამათი დიდი ოჯახი დღეს დაცარიელდა. მარტო დაშბლათ დაცემული ბებია ძართა, კვლავინდელივით, ქვეშაგებში იწვა. ბიძიები ორივენი, გაბოც და სანდროც ქალაქს იყვენ სამუშაოთ წასულნი. ძათი ჯალაბობა შეილებით სართვლოდ თავთავიანთ სამშობლოში გაემგზავრენ. ჰატარა სოსოს დედა თინა გაფითრებული მისვენებული იყო ძართას ჰირდაპირ ტახტზე.

— სად არის ჩემი ძამა, ჩემი საყვარელი ძამილო? ფიქრობს ნადვლიანათ სოსო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ სამი თვის წინეთ, ქალაქში რომ მიდიოდა, მამამ უთხრა სოსოს: „აბა, შვილო, ახლა შეუწყვ ხელი ოჯახს, რასაც შეიძლებ—იმუშავე და ამ ცოტა ხანში მეც დაგბრუნდები, მაშინ შენც და დედაშენსაც ქალაქში წაგიყვანთ და იქ სასწავლებელში მიგაბარებ, და თუ ეს არ მოხერხდება, აქ, მახლობელ სოფლის სკოლაში გატარებ მაინც. ნუ სწუხარ, სწავლის დრო არ გადაგსვლია, ჯერ ხომ ათი წლისა მეტი არა ხარ!

სოსომ მოიგონა ეს და თვალებზე ცრემლები მოადგა. ტანში გააჟრჟოლა, ფეხზე წამოვარდა და აქეთ იქით მიიხედა. ქოხში საშინლათ ბნელოდა. გადახედა დედას და უთხრა: ჩემო დედილო, აგინთო სანათური? ხომ არაფერი გინდა?

— არა, შვილო, ჯერ ნუ აანთებ, დიდი ღამეა, გაუფრთხილდი ნავთს, ვაი თუ მერმე უფრო ბნელაში დავრჩეთ. რასა ზიხარ, შვილო, სახლში! გადი გარეთ, ამხანაგებში ითამაშე.

სოსო არ იძროდა, დაფერფლილ კერას ნაღვლიანათ შესცქეროდა... მოაგონდა მამის ქალაქში წასვლის წინა ღამე. ეგეთლამ რა მხიარულათ გაატარეს დრო! ეგეთლანი სჭამდენ, სვამდენ, თავიანთ თავგადასავალს იგონებდენ. ამათთან მეზობლებს ბლომათ მოეყარათ თავი. ხოლო თინა ნაღვლიანათ შესცქეროდა თავის დათას და საერთო ლხინში მონაწილეობას არ იღებდა...

სულ ორი კვირა არ იქნებოდა მას აქეთ, რაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოჯახში მოვიდა წერილი უფროსი ძმისა, გაბოსი, ის იწერებოდა: „ახლა ჩვენ დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. ერთი კვირაა რაც დათა დაგვეკარგა. ბევრი ჭებნის შემდეგ შევიტყეთ, რომ სახელმწიფო ბაღში მჯდარა, სადაც თავს იერიან უსაქმოდ დარჩენილნი კაცები. უცებ, იქვე ახლოს, ხაზინას ფულის მტაცებლები თავს დასხმიან. პოლიცია მივარდნილა, დაუწყვია მათი დაჭერა. ფულის მტაცებლები შევარდნილან ბაღში, პოლიცია გამოსდგომია და ხელი უტაცნიათ ყველასთვის ვინც იმ დროს იქ შესვედრიათ. მათ შორის დაუჭერიათ ჩვენი დათაც, რომელსაც ბილეთი თან არა ჰქონია... რამდენიმე ხანს დავეძებდით ჩვენ ძმას... ბილეთიც წავუღეთ, მაგრამ ისიც ძველი გამოდგა და თანაც თურმე ჩვენი გვარის კაცს დაეძებდენ, რომელიც რაღაც ქურდობაში გარეული ეოფილა. აირია ყველაფერი და აქამდის ვერა გავაწყეთ რა.. გუშინ შევიტყეთ, რომ რუსეთში ისტუმრებენ ერთი წლის ვადით“...

ამ წერილის წაკითხვა იყო და თინას ლოგინათ ჩავარდნა.

* *
*

ზამთარი დადგა. ყველა მოხარულათ შეექცეოდა თავის ოჯახში შემოტანილ ჭირნახულს, მარტოსოსო იყო გულ-ჩაწყვეტილი. ამის ანაბარას იყვენ ორი ავათმყოფი: ბებიისთვის უნდა მოევლო, საჭმელსასმელი მიეწოდებინა. დედისთვის, საყვარელ დედის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის .. არაფერით შველა არ შეეძლო. არც წამალი, არც ექიმი იმის ბედზე არ იყო. მართალია, მეზობლები შემოხედავდენ სოლმე სადამ-სადამოობით, მაგრამ შველით კი ვერას შველოდენ. ყველას თავისი ჭირი და ვარამი ჰქონდათ.

სოსო სულ იმ ფიქრში იყო, როგორ უშველოს დედას, სად იშოვოს წამალი, ფული...

ერთ სადამოს იმათსა შემოვიდა მეზობელი, ასი წლის ბერუა, ჯოხზე დაბჯენილი და მოუყვა თინას ძველ ამბებს, სხვათა შორის ისიც უთხრა: „ჩვენ სოფლის გორაკზე რომ წმინდა გიორგის ეკლესიაა იქ ზამთარ-ზაფხულს, ეკლესიაზე ასლოს, სურიზე ჰყვავის იასამანი ყვავილები და ვინც ამ ყვავილის ნახარშს დალევს უსათუოდ განიკურნება სენისაგან, მეტადრე ნაღვლის გასაქარწყლებელი წამალია ის ყვავილი“.

სოსოს ეს სიტყვები გულში ჩაუვარდა და სულ იმაზე ფიქრობდა, როგორ წასულიყო იმ ყვავილების მოსატანათ. ავათმყოფებს მარტო თავს ვერ ანებებდა და როგორც კი ოჯახის წევრები დაბრუნდენ, სახლი ქალებით და მათი შვილებით აიავსო, ჩვენი სოსო სახლიდან გაიპარა ყვავილების ჩამოსატანათ

* *
*

სოსოს თუმცა გულადობით თავი მოჰქონდა, მაგრამ როდესაც ბინდისას გორაკზე ასვლას შეუდგა — ცოტა არ იყოს შეშინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოთოვლილი იყო. ბილიკები არა ჩანდა. გორაკი ბუჩქებით იყო შემოსილი და რამდენიც უფრო მაღლა ადიოდა—ეს ბუჩქები ვეებერა ხეებით იცვლებოდენ. სოსოს გაგონილი ჰქონდა რომ ეგვლა საყდრებს გარშემო ტყე აქვთ შემორტყმული და ამ ტყის ხელის ხლება ცოდვათ არის მიჩნეული, ესეც შიშით ხელს ვერას ახლებდა.

გზაზე სოსოს მწყემსები შეხვდენ, მათ შეაყენეს ეძაწვილი და ჰკითხეს:

— სად მიდიხარ ამ ბნელაში, შე ოხერო, არ გეშინიან?

— მაშ რა ვქნა, რომ სახლში ფიჩხია საჭირო, წმინდა გიორგი ხემი მფარველია,—უთხრა სოსომ კანკალით მწყემსებს.

სოსო შევიდა ტყეში და უფრო კანკალი დაიწყო, თუმცა იცოდა, რომ ტყე ძრიელ ბატარა იყო, იქ ნადირი არ ბუდობდა, მაგრამ შიშით მაინც ირთოდა.

მალე მივიდა ეკლესიასთანაც, ეკავილებს ძებნა დაუწყო, მაგრამ, ვაი შენ მტერს იქ ეკავილები იმან ვერა ნახა რა, სუროს მარტო კლერტოები გაეშვირა აქეთ იქით. სოსო გაშტერებული იდგა. უცბათ ლაპარაკი მოესმა. დაინახა დანოებული ცეცხლი, რომელსაც მისჯდომოდა ორი ბატარა მწყემსი... სოსო შიიშალა... ცეცხლი მალე ჩაქრა, მწყემსები წავიდენ, ფეხის ხმა მისწყდა. შეშინებული სოსო კვლავ აქეთ იქით იეურებოდა. ეკავილები არსად არ მოსჩანდა. საე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრის კარები ჩამოგდებული იყო. სოსო მოკრძალებით შევიდა ეკლესიაში და ახლა იქ მიისედ-მოიხედა. შუა ეკლესიაში მუხის ხე იდგა. ეკლესიის თაღი ნახევრათ ჩამოქცეული იყო. ერთ კუთხეში, სადაც თაღი მთელი იყო, ქვის საკურთხეველზე ელაგა ხატები: შუაში ესვენა წმინდა გიორგი, თეთრ ცხენზე მჯდომი. წინ ჰატარა გახუნებული ალისფერი ხავერდის სუფრა ეგო, ამ სუფრას გარშემო დაგლეჯილი ოქროს ბეხმენტი ევლო. სოსო კრძალვით მიუახლოვდა ხატებს. ხატებს წინ გაშლილ სუფრაზე რამდენიმე თეთრი და შავი ფული ელაგა. ემაწვილმა უკან დაიწია, თითქოს არ იყო შეეშინდა. მერე ისევ წინ წადგა. თვალები გაუბრწყინდა, მოაგონდა ავათმყოფი დედა, დასედა ფულს, ხელით შეეხო.....

— რა იქნება რომ ავიღო? ცოტა ხნით.. ისევ მოვიტან და თავის ადგილას დავაწყობ. რა უშავს! ამითი დედას სიკვდილს გადავარჩენ... ექიმს მოვუგან. წამალს უყიდი. ფულს ღმერთს ისევ ისე დავუბრუნებ... ღმერთი ისეთი კეთილია, მაპატიებს.. სულ ცოტა ხნით წავიღებ... დედა რომ კარგათ შეიქნება, ქალაქში წავალ, ხელობაზე დავდგები, ფულს მოვიგებ და ერთი ორად მოვუტან ღმერთს... მაგრამ! ფულის მჯარვა ხომ ცოდვაა.—ეველა ხომ ქურდს დამიძახებს! და სოსო ქვითინით ხატების წინ ჰირქვე დეეძხო...

სოსოს მოეჩვენა, რომ ეკლესია უცებ განათდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი მაღლა აიწია და დაინახა ოდნად შეთოვლილი ბუხა, რომელიც ახლათ ამოსულ მთვარეს გაენათებინა და სხივ მოფენილი წმინდა გიორგიც თითქოს იმას ულიმოდა. სოსომ ეს ღიმილი ნებართვათ მიიღო, გახარებულმა დასტაცა ხელი შეწირულ ფულს და სახლისკენ მოჰკურცხლა.

სოსო გაქანებული მირბოდა, უკან მოხედვისა ეშინოდა. ეშინოდა ვისმეს არ დაენახათ, არ ეკითხნათ, თუ რათ მირბის. ბოლოს გაიფიქრა ეს ფული რომ შინ წავიღო ნახამენ, ჩვენები შეიტყობენ, ქურდს დამიძახებენ. რა იციან, რომ წმინდა გიორგიმ თვითონ მიბოძა ეს ფული.. მე კი ერთი ორად უნდა გადვიხადო მერე. ახლა კი დედას ექიმს მივგვრი, წამალს უყიდი!

სოსომ გადათვალა გროშები, სულ ოთხ აბაზამდის იყო. მან ფული ერთ ბუჩქის ძირას ჩაფლა და ისე წავიდა სახლში.

კარგა ღამე იყო გავლილი, როდესაც სოსო დაბრუნდა შინ, ავთმოფმა უთხრა: — შვილო, ფიჩხზე აგრე გვიან ნუ დადისარ, ნადირმა არა დაგიშავოს რა.

სოსომ მიუალერსა დედას და ეურში ჩასჩურჩულა ისე, რომ სხვას ვერავის გაეგონა.

— დედიჯან, ხვალ მე ფული მექნება... ექიმს მოგიყვან, წამალს გიყიდი და მორჩები.

— მერე ფულს ვინ მოგცემს? ჰკითხა ავთმოფმა გაკვირვებით სოსოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინა და ღმერთი!.. წმინდა გიორგი...

დედამ ჯერ გაკვირვებით შეხედა შვილს, მერე ეურადღება არ მიაქცია ნათქვამს და ალერსისთვის ტკბილათ გადაკოცნა და გვერდს მოიწვინა დასაძინებლათ.

მთელი ღამე სოსოს თვალი არ დაუხუჭავს, საშინლათ აღელვებული იყო. არ იცოდა საქმე როგორ მოეწყო. უექიმოთ წამალს ვერ იშოვიდა, ექიმი კი ძალიან შორს სცხოვრობდა და მისი მოყვანა ძვირათ ღირდა. ამას კი მხოლოთ ოთხი აბაზი გააჩნდა. ის შამფურივით ტრიალებდა, მხოლოდ გათენებისას ჩაეძინა.

დილა ადრიანათ შემოესმა დედის კვნესა. სოსო სწრაფ წამოხტა. მან გადასწვეტა, ფერმალი მაინც ენახა და საჩქაროთ წაყიდა ფულის მოსატანათ

მთელი ღამე ეთოვა. სოსოს ბილიკები აერ დაერია. ბევრი ეხეტიალა, შიში შეეპარა—ვაი თუ ფულს ვერ ამოვაგნოვო. რამდენჯერმ ცრემლ მორეული შინისკენ დაბრუნდა, მაგრამ ეატარა ხანს უკან ძებნა ისევ განაგრძო. სადამო ხანს ძლივს იპოვა და სიხარულით გამოქანდა სახლში.

დედა კვლავ საეჭვურით დაუხვდა—,,გამირბისარ, შვილო, აღარ გინდივარ, ჩემ სიკვდილს უთუოდ მოუთმენლათ ელიო!

ამ სიტყვებმა ძალიან შეაწუხა სოსო, მაგრამ დედასთან თავი არ იმართლა.

ამას უნდა ვისმესთვის გაეზიარებინა თავის გუ-

ლის ბასუხი, ეკითხა რჩევა. მაშინვე გაიქცა ნასალ-
დათევ ვასოსთან, რომელიც ამათ მეზობლათ იდგა
და ჭკვიან კაცად ითვლებოდა.

— სად იშოვე ეგ ფული? —ჰკითხა ვასომ.

— შენ რა გინდა, ღმერთმა მომცა!

— მერე მაგ ოთხი ბაზით ექიმიც გინდა მოიყვანო,
წამალიც უყიდო, ჩაი-შაქრიც?.. —გაიღიმა ვასომ.

— რა ვქნა, დედა მიკვდება, მიშველე, თუ ღმერთი
გწამს, დამეხმარე.

— ღმერთი კი მწამს, მაგრამ რა გიშველო, არ
ვიცი,—მოდი ექიმს თავი დავანებოთ, ფერშალთან
წავიდეთ, უამბოთ მაგისი ავათმყოფობა და იქნება
რამე იაფი წამალი მოგვცეს.

— აბა მიშველე, ვასო ჩქარა წავიდეთ. იქნება
დღესვე მოვასწროთ დაბრუნება.

ვასო და სოსო გაემგზავრენ. ვასომ გზაზე რამ-
დენჯერმე ჩამოუგდო ლაპარაკი ფულის შესახებ: „ვინ
მოგცა, ან სად იშოვეო“. ემაწვილი ამ კითხვაზე
ისე ღელავდა, რომ ვასომ ეჭვი აიღო—ნაქურდალი
ხომ არ არისო. თანაც კი ფიქრობდა, სოსო იმის-
თანა ბიჭი არ არის, რომ მოიპაროს რამე, უსათუ-
ოდ ვინმე აჩუქებდაო.

* *
*

შობამდის სულ ორი დღე არ იყო დარჩენილი.
სომ ჩამოუტანა დედას საყუათო კაპლები, რომე-
�აც ფერშალს მუქთად მიეცა. ჩაი-შაქარი, ავთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრინჯი და სხვა წვრილმანი. სოსო თვითონ ძალიან გახარებული იყო, მაგრამ ოჯახში ეჭვი აიღეს, სოსოს სად უნდა ეშოვა ეს ფულიო, მეტადრე წვრილფეხობას გაჰქონდა და გამოჰქონდა. ამ ამბავმა მამასახლისამდინაც მიაღწია. იმას მოაგონდა, რომ ამ ერთი კვირის წინეთ წმინდა გიორგის ეკლესიის მნათე შესჩიოდა: „ვიღაცას საეკლესიოდან გროშები მოუპარავსო“. მამასახლისმა იცოდა თინას ავადმყოფობა და ერიდებოდა იმის წყენას, მაგრამ, შობის წინა ღამეს, მაინც შეკიდა იმათსა, ვითომ იმისთვის, რომ თინასი და იმისი ქმრის ამბავი შეეტყო. თინა მოუყვა შვილის ქებას: მიწამლა, სიკვდილისაგან დამიხსნაო. მამასახლისმა ვეღარ მოითმინა და ჰკითხა:

— მერე არა ჰკითხე, ფული საიდან გაიჩინაო.

ავადმყოფი შეძრწუნდა, სამარის ფერი დაედო და წამოიყვირა:

— ჩემი სოსო თავის დღეში არაფერს ურიგოს არ ჩაიდენდაო.—და ფერმისდილი გადესვენა ბალიშზე.

ამ დროს მოისმა გარედან ხმა:

— მომეავს, მომეავს დაკარგული, ახარეთ თინას!

გაჭარხლებული სოსო შემოვარდა ოთახში, მივარდა დედას ყვირილით:—მამილო, მოვიდა მამილო! წმინდა გიორგიმ მამაც დამიბრუნა და მე ბიჭი არ ვიქნები, თუ სესხი ერთი ათად არ გადავისადოო.

ან. წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაზრის მოსამართლე მიხეილი

როგორ ვახდა ცხოველების მეგობარი?

საშობაოდ.

ესო ქრისტეს შობის დღესასწაული გათენდა. მაზრის მოსამართლე მიხეილი დილით ჩვეულებრივზე ადრე ადგა, მოსამსახურეს დაუძახა და მასთან ერთად საჯინიბოში თავის ბებერი ცხენის სანახავად წავიდა.

— გესმის, ანტონა,— უთხრა მან მოსამსახურეს— დღეს ლურჯა ლაზათიანათ გაასუფთავე, რომ ეს ბებერი ჯაგლაგი ნამდვილს ცხენს დაემსგავსოს. ზურგი საპნით ისე მობანე, რომ ბზენა გაჭქონდეს, ფაფარი და კუდი დავარცხნე და ერთი სიტყვით, გაალამაზეთ; მერე საჯინიბოდამ გამოიყვანე და მათრახის ცემით ისე გამოაცოცხლე, რომ მსუბუქი და კუნტრუშა გახდეს. დღეს მედავითნე მსურს მოვატყუო,— რომელსაც ლურჯას ეიდვა უნდა.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ფიქრი ნუ გექნებათ — მიუგო ანტონმა — ყველაფერს მოვასერხებ.

ამ დროს თავის ბაგიდამ ლურჯა მობრუნდა და მწუხარედ პატრონს შეხედა:

— ნუ მცემ, მიხეილ! — სთქვა ლურჯამ — მართალი უნდა გითხრა, რომ შენ ბოროტი და ცუდი პატრონი ხარ. მთელს ჩემს სიცოცხლეში ერთგულად გემსახურებოდი; ეტლით დამეავდი ყველგან: ქალაქშიც, საველარზეც; მძიმე ტვირთებს გიზიდავდი, მაგრამ ერთხელაც არ გიფიქრია, მათი ზიდვა შემეძლო თუ არა; ამასთანავე ნაკლებ ეურადღებას აქცევდი, საკმაო საკვები მქონდა თუ არა. ახლა კი, როდესაც დავბერდი, მოსამსახურეს უბრძანებ ჩემს ცემას, თუმცა შენ წინაშე დანაშაული არაფერი მიმიძღვის. უნდა მცემო, ისიც იმისთვის, რომ შენი მოუვასი ადვილად მოატეუო. უმადურო! კარგად წარმოიდგინე, რა მძიმე პასუხი უნდა მისცე ღმერთსა შენი საზიზღარი ცოდვებისთვის! მაგრამ იმედი ნუ გაქვს, ვითომც მოტეუებით გამასაღებ: მედავითნემ შენი სივერაგე იცის და აგრე ადვილად როდი მოტეუვდება; მალე კიდეც დაისჯები: დღეს საღამოს, როდესაც შენ მედავითნის სახლიდამ გამობრუნდები და ეტლში თვლემას დაიწყებ, მივალ ღრმა ხევთან და ეტლიდამ გადაგაგდებ.

ცხენის სიტყვებმა მიხეილი შეაშინა, შიშით თავზე თმა აებუძგა და პირის სახეზე მკვდრის ფერი დაედო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— საყვარელო ლურჯავ!—უთხრა მიხეილმა ენის ბორძიკით _ რა ნაირად შეისწავლე ლაპარაკი?

— ეს საკვირველება აი განა, აი როგორ,—უთხრა ცხენმა—უკანასკნელს ღამეს საჯინიბოში უეცრად ნათელი გამოჩნდა, და მე ჰატარა ანიკოს საყვარელი სახე ჩემის თვალით დავინახე, იმ ანიკოსი, რომელსაც თავის სიცოცხლეში შინაური ცხოველები ძალიან უყვარდა. მაგრამ ახლა ის ანიკო სად არის, არ ვიცი; დიდი ხანია აღარ მინახავს.

— ჰატარა ანიკო ახლა ცაშია ღვთის ანგელოზებთან,—უთხრა მიხეილმა.

— და მეც მენატრება ცაში გავიქცე—სთქვა ლურჯამ,—რომ ანიკოს გვერდით ვიცხოვრო: ის თქვენ ყველას გჯობდათ.

— საცოდავო ლურჯავ!—სთქვა მიხეილმა—ცხოველებს ცაში არა აქვსთ ბინა.

— შენ კი იქ მისვლა შეგიძლია?—ჰკითხა ცხენმა.

— დიახაც შემიძლია,—მიუგო მოსამართლემ.

— მაშ, თუ აგრეა,—უთხრა ცხენმა,—მე იქ ეოფნა არ მინდა, იმიტომ რომ იქაც თან წყეული მათრახი გექნება და იმით ცემას არ მომიშლი.

მოსამართლეს შერცხვა და თავჩაღუნულმა ჰკითხა:

— ჰატარა ანიკო რას გელაპარაკა?

– ის მელაპარაკა,—მიუგო ლურჯამ,—რომ ჩვენ, ძველი მეგობრები, არ დავიწყებივართ, ბევრს სწუსდა რომ ადამიანები ცხოველებს არ იბრალებენ და ღმერთს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვდა, მიეცა მათთვის ლაპარაკის ნიჭი, რომლის დახმარებით მათ, ცხოველებს, ერთს რომელსამე დღეს ხალხისთვის საგსებით თავისი გასაჭირი ეცნობებინათ. ეს დღე კიდეც მოვიდა. დღეს, ქრისტეს დაბადების დღესასწაულს, მთელს ქვეყანაზე პირუტყვები ლაპარაკობენ: ზოგნი თავის ბედნიერებას ადიდებენ, ზოგნი—თავის შავ ბედს უჩივიან და ზოგნი კი—როგორც მე, მარტო შებრალებას თხოულობენ.

მისეილს გული აუტირდა. იმან ცრემლებიც გადმოღვარა, რადგანაც პატარა ანიკო მისი ერთადერთი ქალი იყო, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა.

— მაპატივე, ლურჯავ!—უთხრა მისეილმა,—ამ დღიდამ ძლიერ კარგად მოვეპყრობი ცხოველებს, შენც და სხვებსაც. მე მიეცარს ჩემი პატარა ანიკო და ჩემის ცოდის საქციელით არ გავამწარებ... თუ შეიძლებოდეს, დამდე სიკეთე და დღეს საუდრამდის მიმიყვანე.

— დიდის სიამოვნებით,—მიუგო კეთილმა ცხენმა.

— ანტონა! ლურჯა გაასუფთავე, მაგრამ ისე კი, რომ მათრახით არ სცემო. ისე მოუარე, როგორც ეგობარს: საკმაოდ საკვები მიეცი და ყოველთვის თავ-თავის დროზე აძლიე და ქვეშ რბილი საგები დაუფინე ხოლმე დასაწოლათ.

მისეილი ამის შემდეგ შინ წავიდა. აქ თავისი ცოლი გაფითრებული და შეშინებული დაინახა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ელენე, რა დაგემართა?—ჰკითხა ქმარმა,—ისე იცქირები, თითქოს ალ-ქაჯი გენახოს.

— უფრო იმაზე უარესი ვნახე,—მიუგო ცოლმა—დილას ბოსელში ძროხის მოსაწველად შევედი; რქებზე ხელი მოვკიდე და ბოძზე მიბმა მინდოდა, რომ წველის დროს წენარად ეოფილიყო. მაგრამ ძროხამ უეცრად წიხლების სროლა დაიწყო და ისე გაბრაზდა, რომ მასთან ვერა გავაწყე-რა და გაჯავრებულმა თავში დავარტყი. სწორედ ამ დროს ჩემს უკან ხმა მოისმა: „ელენე, გაიგონე, რაც გითხრათ, ეგრე უწყალოდ ნუ გეექცევი; ეს ძლიერ ცუდია და არც ჰატიოსნებაა შენის მხრით!“ მოვიხედე და სარი დავინახე, რომელიც გულმოსული მიცქერდა, „ნუ თუ არ იცი,—ამბობდა ის,—თქვენი უსამართლობით რამდენ ტანჯვა-წვალებას ვითმენთ; ჩვენ ჩუმად და მოთმინებით ეოველთვის გემსახურებით, ეოველს შეურაცხეოფას ვიტანთ და ამის ნაცვლად ჯილდოდ მარტო ცემა-ტეტეპის მეტს ვერას ვხედავთ. ამავე დროს ეველა ძროხებმა ბღავილი მორთეს და გაჯავრებული ევიროდენ: „საეკვარელო დიასახლისო! შეგვიბრალე და კეთილათ მოგვექეცი!“ ისე შემეშინდა, რომ საწველი ხელიდამ გამივარდა და საჩქაროდ შინ მოვკურცხლე.

— წადი ბოსელშივე—უთხრა ქმარმა—და ცხოველებს მეგობრულად ელაპარაკე; მაშინ დაინახავ, თუ რა რიგ მშვიდი და წენარი შეიქნებიან. იმათ ლაპარაკს ნუ შეუშინდები. იცოდე, რომ იმათი ჰირით ჩვენ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ანიკო ლაპარაკობს და გვიბრძანებს,—ცხოველები გვებრალებოდეს.

ორის საათის შემდეგ სახლთან სადღესასწაულო ლამაზი ეტლი მოვიდა, რომელშიაც ჩაჯდა მიხეილი და საუდარზე წავიდა. ამ დროს მიხეილს პატარა ვაჟმა ჭიშკრიდამ დაუძახა:

— მამილო! მათრახი დაგავიწყდა!

— არა უშავს-რა, დამავიწყდეს,—მიუგო მამამ,—მათრახი არ მინდა.

ამავე დროს მიხეილის ცოლი სახლიდან გამოვიდა. მეზობლებთან წასვლას აპირობდა. ქმარს ეტლი გაარჩერებინა. მივიდა ეტლთან, ცხენს ხელი გადუსვა და პირში პურის დიდი ნაჭერი ჩაუდო.

— მადლობელი ვარ—უთხრა სიხარულით ლურჯამ—ასლა კი ნურაფრისა გეშინიანთ; ბატონს მშვიდობით ვამგზავრებ.

მართლაც გზას დიდსანს არ მოუნდა. მიხეილი საუდარზე მალე მივიდა.

ილ. ფერაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რიკკი-ტიკკი-ტავი.

(შემდეგი)

ამ საღამოს, სადილათ, რიკკი-ტიკკის ნება მისცეს სუფრაზე ასულიყო და იქ თავისუფლათ ესეირნა ბოთლებსა და ჭიქებს შორის; ამ დროს მას ადვილათ შეეძლო სხვა და სხვა გემრიელი საჭმელებით სულ ეელამდის გატენილიყო, მაგრამ ნაგი და ნაგენა არ ავიწყდებოდა, ამიტომ არაფრისათვის ხელი არ უხლია; და თუმცა ძალიან ესიამოვნებოდა ტედდის დედის ალერსი და მოფერება, ტედდის მხარზე თავ-მომწონეთ ჯდომა, — მაინც დრო გამოშვებით თვალებს წითლათ აბრიალებდა და თავის საომარ კიჟინას დასძახებდა ხოლმე: რიკკ-ტიკკ-რიკკი-ტიკკი-ტა!

ტედდი, რომ დასაწოლათ წავიდა, ისიც თან წაიყვანა და უსათუოთ მოინდომა, რომ რიკკის მის ნიკაპ ქვეშ დაეძინა; რიკკი ისეთი ზრდილობიანი იყო, რომ ამაზე უარს როგორ ეტყოდა; მაგრამ, ტედდის ჩაეძინა თუ არა, მან მაშინვე სახლის შემოსავლელათ გასწია და ბნელაში, გაქანებული, მუშკათაგვს, შუშუნდრას დაეტაკა, რომელიც კედელ-კედელ ნელ-ნელა მიბობღავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუშუნდრა ბატარა და უწეინარი, გულმოკლული ცხოველია; წუწუნით და ტირილით ის მთელი დამეობით ცდილობს გაბედვინოს თავის თავს ოთახების შუაგულში გავლა; მაგრამ მაინც ამას ვერასოდეს ვერ ახერხებს.

— ნუ მომკლავთ, ნუ!—აკანკალებული ხმით წამოიძახა შუშუნდრამ. —ნუ მომკლავთ, რიკკი-ტიკკი!

— ნუ თუ გგონიათ, რომ გველების მკვლელი თაგვზე გაისვრის ხელს?—ამაყათ მიუგო რიკკიმ.

— ვინც გველებს ჭკლავს—თითონაც გველისაგან მოკვდება!—ღრმა მწუხარებით ამოიოხრა შუშუნდრამ, —რატომ გგონიათ, რომ ერთხელ როდისმე მე ნაგს ბნელაში თქვენ არ ვეგონები და არ შეშჯამს!

— ეგ ყოველათ შეუძლებელია, —თქვა რიკკიმ,— ნაგი ბალშია, თქვენ კი ბალში არასოდეს არ დადისართ.

— ჩემმა ბიძაშვილმა, შუამ, ბალის ეირთსამ, მითხრა .. —დაიწყო შუშუნდრამ და უეცრათ შეჩერდა.

— რა გითხრათ?

— ჩუ! ნაგი ეველგან არის' რიკკი-ტიკკი! შუასთვის უნდა გეკითხათ, ბალში.

— მე შუა არ მინახავს, ისე რომ თქვენ უნდა მითხრათ. მალე, შუშუნდრა, მალე, თუ არა გიკბენთ.

შუშუნდრას მუხლები ჩაეკეცა და იმდენი იტირა, რომ ცრემლები ულვაშებზე ორ ღელეთ ჩამოსდიოდა.

— მე ერთი საცოდავი არსება ვარ!—ქვითინებ-

და ის.—ვერაფერით ვერ გამიბედნია შუა ოთახში სირბილი, სულ კედლებს ვეკვრი... ჩუ!.. რა საჭიროა, რომ კითხრათ რამე?.. არ გესმისთ თქვენ თითონ, რიკკი-ტიკკი?

რიკკი-ტიკკიმ ყური დაუგდო. მიძინებულ სახლში სრული სიჩუმე სუფევდა, მაგრამ მას მაინც რაღაც უცნაური შრიალი მოესმა, კრა-კრა, კრა-კრა... ხმაურობა სულ ჩუმი იყო, ოდნავ ისმოდა... თითქო სადღაც ფანჯრის შუაზე ბზიკი მიფორთხავდა.. ან თითქო რაღაც დახოხავდა აგურებზე...

—ეს ან ნაგია, ან ნაგენა! ტანსაბან ოთახში მისოხავს!—წაილაპარაკა რიკკი-ტიკკიმ.—მართალს ამბობდით წელან, შუშუნდრა, უნდა მეკითხა შუასთვის, ბალში.

ის ტედდის ტანსაბან ოთახში შესრიალდა. მაგრამ იქ ვერავინ ნახა; მერე ტედდის დედის ტანსაბან ოთახისაკენ გაეშურა; იქ, ერთი კედლის ძირში, ორი აგური იყო გამოღებული და ნახვრეტში—წელის მილი შემოყვანილი; შედგა თუ არა ოთახში ფეხი რიკკი-ტიკკიმ—მაშინვე ნაგის და ნაგენას ხმა მოესმა; ისინი ვარეთ, მთვარის შუქზე, ლაპარაკობდენ.

—ბუნგალო რომ დაცარიელდება—წავა, აბა რას იზამს!—ეუბნებოდა ნაგენა თავის ქმარს.—წავა, და ჩვენ ხელ-ახლავ დავეპატრონებით ბალს. ნელა შეცურდით, ნაგ, ნელა, და ნუ დაივიწყებთ, რომ ყველაზე უწინ იმ კაცს უნდა უკბინოთ, რომელმაც კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეტი მოჰკლა. გაათავოთ თუ არა ეკელაფერი მაშინ-ვე ჩემსკენ გამოეშურეთ, სამახარობლოთ; და მერე ორივემ ერთათ ვინადიროთ რიკკი-ტიკკიზე.

— დარწმუნებული ხარ, რომ ადამიანების დახოცვით რასმე მოვიგებთ?—ჰკითხა ნაგმა.

— ეკელაფერს!—მიუგო ნაგენამ.—ბუნგალოში როცა არავინ იყო, განა იქნემონი ბაღში გვეეოლებოდა? როდესაც ბუნგალო ცარიელია, ჩვენ ბადის მეფეები ვართ. აბა, დაახქარეთ, ნაგ, და ნუ დაივიწყებთ კიდევ იმას, რომ როგორც კი ჩვენი კვერცხები გამოიჩეკებიან,—ეს კი შესაძლებელია ხვალაც მოხდეს, —ჩვენს შვილებს დასჭირდებათ ბლომათ ადგილიც და მოსვენებაც.

— ეგ სულ აღარ მახსოვდა!—სთქვა ნაგმა.—მივდივარ, ნაგენა. ეს კია, რომ, ჩემი აზრით, რიკკი-ტიკკიზე ნადირობა აღარ დაგვჭირდება; მე ჯერ კაცს და მის ცოლს მოვკლავ, მერე ჰატარა ბავშვს; ბუნგალო დაცარიელდება და რიკკი-ტიკკი თითონვე წავა.

ამ სიტყვების გაგონებაზე რიკკი-ტიკკი, სიბრაზით და სიძულვილით, მთლათ აკანკალდა; მერე ნასვრეტს მიაშტერდა და მალე დაინახა ნაგის თავი, რომელიც მილიდან გამოძვრა; თავს უკან მისი ორ არშინიანი ტანიც მოჰყვა, სრიალა და ცივი ტანი; მართალია, რიკკი-ტიკკი ძალიან გაწიწმატებული იყო, მაგრამ მაინც, უზარ-მაზარი კობრის სიგრძე რომ დაინახა, გულში უნებლიეთ შიში შეეპარა; ნაგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წამოიწია, თავი ზევით აძართა და იქით-აქეთ მიიხედ-მოიხედა; სიბნელეში რიკკი-ტიკკიმ კარგათ გაარჩია, როგორ ელვარებდენ მისი ავი თვალები.

— აქ რომ მოვკლა ახლა, ნაგენა გაიგონებს, თუ არა და, შუაგულ იატაკზე რომ შევებრძოლო— მაჯობებს... რა ვქნა?—შეეკითხა თავის თავს რიკკი-ტიკკი.

ნაგმა იატაკზე მიისრიალ-მოისრიალა და ცოტა ხანს შემდეგ რიკკი-ტიკკიმ გაიგონა, რომ ის წყალს სვამდა დიდი თუნგიდამ, რომლითაც ვანნას ავსებდენ ხოლმე.

— კეთილი!—წაილაპარაკა გველმა და დაფიქრდა. —როცა კარეტი მოჰკლა, კაცს დიდი ჯოხი ჰქონდა ხელში. შეიძლება ახლაც ისევ ჰქონდეს ის ჯოხი. მაგრამ ხვალ დილას, როცა აქ ტანის დასაბანათ მოვა,—აღარ ექნება. მაშასადამე, სჯობს აქ მოვუცადო. ნაგენა, გესმის რას ვამბობ? აქ მოვიცდი, სიგრილეში, ხვალ დილამდის.

გარედან არაფერი ხასუხი არ მოისმა, რამაც შეატყობინა რიკკი-ტიკკის, რომ ნაგენა იქ აღარ იყო. ნაგი დასაძინებლათ მოეწყო, გულდასმით დაგორგალდა და დიდი თუნგის გამობერილ მუცელს გარს შემოეხვია. რიკკი-ტიკკი მკვდარსავით უძრავათ გაშეშდა.

ერთს საათს შემდეგ მან ფრთხილათ მოძრაობა დაიწყო და ნელ-ნელა, ფეხ-აკრეფით, თუნგს მიუახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვდა; ნაგს ეძინა; რიკკი-ტიკკი დაკვირვებით შეაჩერდა მის გრძელ და განიერ ზურგს, რომ საკბენი ადგილი ამოერჩია.

— თუ პირველივე კბენით არ მოკუდე ბოლო-ბრძოლას დამიწყებს,—თქვა რიკკიმ,—და თუ შემებრძოლა... ოო, რიკკი!

გველის კისერი, ყაბალახს ქვემოთ, ნამეტანი სქელი იყო, იქ რიკკი ვერას გახდებოდა; კუდის სიახლოვეს კბენა არ ღირდა, გველს მხოლოთ გაა-ბრაზებდა და დაკლებით კი ვერაფერს დააკლებდა.

— თავში უნდა გუკბინო,—გადაწყვიტა რიკკიმ,— თავში, სწორეთ ყაბალახს ზემოთ; და, კბილებს რომ ჩაეასობ, ალარ უნდა მოგეშვა.

და რიკკი-ტიკკიმ ისკუპა. გველის თავი თუნგის გაბერილ მუცელს ქვეშ იდვა, და, კისერში კბილების ჩასობისათანავე, რიკკიმ სწრაფათ ზურგი ამოიკუზა და თუნგის მუცელს მიაბჯინა, რომ აძნაირათ გველის თავი იატაკზე მიელურსმა. ამ ხერხმა ერთი წამის გამარჯვება მისცა, რითიც ეოხალათ ისარგებლა კბილების და თათების გველის კისერზე მოსამაგრებლათ. მაგრამ მალე გონზე მოსულმა გველმა ის საოცარი ძალით აჯანჯგალა, სწორეთ ისე, როგორც ძაღლი ვირთხას აჯანჯგალებს ხოლმე; ხან მარჯვნით ახეთქებდა რიკკის გველი და ხან მარცხნით, ხან წინ და ხან უკან, იატაკზე და კედლებზე, ძაღლა და დაბლა, და მერე სულ ირგვლივ, დიდ-

უშვილებელ მანძილზე; მაგრამ რიკკი-ტიკკის თვალები წითლათ ანთებულიყვენ და ის მაგრათ ჩაჭფრენოდა გველის თავს, გველის ტანი კი იატაკს ისე ეტკაცუნებოდა, როგორც ვეებერთელა მათრახი, ყველაფერს ანტვრევდა და ამსხვრევდა ოთახში და ვანნასა და თუნგებს საშინლათ ახმაურებდა; რაც დრო გადიოდა, რიკკი-ტიკკი სულ უფრო და უფრო უჭერდა ღრანჭებს, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ცოცხალი ვერ გადარჩებოდა და, თავისი გვარის სასახელოთ, ჭსურდა, რომ მეორე დღეს, მკვდარი. ის მის მსხვერპლში კბილებ ჩასობილი ენახათ. თაგბრუ დახვეული, დაღალულ-დაქანცული, მთლათ დაბეჟილი და დალილავებული, რიკკი ჭფიქრობდა, აგერ-აგერ ამდენი ხათქა-ხუთქი ათას ნაწილათ დამამსხვრევსო— როდესაც უეცრათ მას უკან თითქო მეხი ჩამოვარდა, რაღაც ალმა ბეწვი გაუტრუსა და რაღაც მხურვალე ქარიშხალმა გრძნობა დააკარგვინა. ხმაურობას კაცი გაეღვიძებინა და მას დაეცალა თავისი ოთოის ორივე ლულა ნაგის ზურგზე, სწორეთ ეაბალახს ქვემოთ.

რიკკი-ტიკკი, თვალებ დახუჭული, ისევ მაგრათ ჩასჭიდებოდა გველის თავს, რადგანაც ახლა სრული დარწმუნებული იყო, რომ ცოცხლებში აღარ ერია. მაგრამ თავი აღარ ინძრეოდა; და კაცმა აიყვანა იქნემონი ხელში და თქვა:

— ეს ისევ იქნემონია, ალისა! და ახლა ჩვენც გადაგვარჩინა სიკვდილს ამ ჰატარა არსებამ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ტედდის დედაც შემოვიდა ოთახში. მას სახე მთლად გაფითრებოდა, და ის შიშით მისჩერებოდა ორათ გაგლეჯილ გველს.

რიკკი-ტიკკი კი ტედდის ლოგინისაკენ წაკვაჭუნდა და იქ მთელი დანარჩენი ღამე იმაში გაატარა, რომ სულ გულმოდგინეთ იფერთხებოდა და თავს იშინჯავდა, უნდოდა გამოერკვია, ათას ნაწილათ ვარ დამტვრეული თუ ისევ მთელი ვარო.

მეორე დილას ტანი ცოტა გაშეშებული ჰქონდა, მაგრამ მაინც თავმოძწონეთ გამოიეურებოდა, დიდი კმაყოფილი იყო თავისი თავით და თავისი გმირული ქცევით.

— ახლა ნაგენას უნდა გავუსწორო ანგარიში!— გადაწყვიტა მან.—და ერთი ნაგენა ხომ ხუთ ნაგზე უარესია. ამას გარდა, ვინ იცის, როცა მისი კვერცხები გამოიჩეკებიან... ღმერთო ჩემო!—უეცრათ წამოიძახა მან.—წავიდე ერთი დარზი ვნახო!

საუზმისთვისაც კი არ მოუცდია, ისე გაჰქანდა ეკლიან ბუჩქნარისაკენ, სადაც დარზი, ხმა მაღლა და მხიარულათ, გამარჯვების სიმღერას ჰგალობდა. ნაგის სიკვდილის ამბავს კიდეც მთელი დიდი ბადი შემოერბინა, რადგანაც დილას მოსამსახურეს მისი შუაზე გაგლეჯილი ტანი თავლას უკან ნეხვზე დაეგდო.

— ოო, სულელო ბუმბლის ბურთო!—წერომით შემოუძახა რიკკი-ტიკკიმ.—რა დროს სიმღერაა ახლა?

— ნაგი მოკვდა... მოკვდა... მოკვდა!..—ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაცებით დაამღერა დარზიმ,—გულადმა რიკკი-ტიკკიმ თავში ჩაასო კბილები და არ მოეშვა!.. კაცმა მოიტანა ჯოხი, რომელიც „ბუმ“-ს იძახის!.. და ნაგი ორათ გაიხლიჩა!.. ველარ შეიჭამს ნაგი, ველარ, ჩემ ბატარა შვილებს!..

— ეგ უველაფერი მართალია, მაგრამ თქვენ ეს მითხარით, ნაგენა სად არის?—ჰკითხა რიკკი-ტიკკიმ, რომელიც სულ გარშემო იყურებოდა, არე-მარეს ყურადღებით ათვალიერებდა.

— ნაგენა დილას ტანსაბანი ოთახის მილთან მივიდა ნაგის დასამახებლათ!—ისევ მღერით განაგრძო დარზიმ.—და ნაგი გამოვიდა გრძელ ჯოხზე გადაკიდებული!.. მოსამსახურემ გამოიტანა ის გრძელი ჯოხით და ნესვზე დაადო უბატივცემულოთ!.. ვადიდოთ და ვასახელოთ მძლავრი გმირი, რიკკი-ტიკკი წითელ-თვალა.

და დარზიმ გაიბერა თავისი ბატარა ყელი და ისევ აღტაცებით დაჭმღერა გამარჯვების გალობა.

— თქვენი ბუდის მოწვდომა რომ შემეძლოს— თქვენ შვილებს ყველას ძირს ჩამოვერიდი!—ხელმეორეთ შემოუძახა გულმოსულმა რიკკი-ტიკკიმ.—არ იცით, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს? მანდ, მაღლა, ბუდეში, თქვენ მოსვენებით ხართ, ჩემთვის კი აქ, ძირს, ჯერ ომი არ გათავებულა! გაჩუმდით, დარზი, მე თქვენ გეუბნებით, ნუ მღერით და მითხარით, ნაგენა სად არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიდებულ, მხნე და მშვენიერი რიკკი-ტიკკისთვის რას არ ვიზამ, როგორ არ გავჩუმდები!—მიუგო დარზიმ.—რა გნებავთ, ოო, საშიშარი ნაგის მკვლელო?

— ეს მესამეთ გეკითხებით, სად არის ნაგენა?

— ნეხვზე, თავლას უკან, ნაგს დასტირის.. გაუმარჯოს რიკკი-ტიკკის, თეთრ-კბილება მამაც გმირს!..

— დამეკარგეთ იქით თქვენც და თქვენი თეთრი კბილებიც! ხომ არ იცით სად მალავს ნაგენა თავის კვერცხებს?

— ნესვნარში, ბაღის ბოლოში, კედლის სიახლოვეს, იქ, სადაც მზე თითქმის მთელი დღეობით აცხუნებს. აგერ რამდენიმე კვირაა, რაც იქ დამალა.

— და აქამდის თავში არ მოგსვლიათ ის აზრი, რომ ეგ ჩემთვის გეთქვათ?—წ-მოიძახა რიკკი-ტიკკიმ. —ბაღის ბოლოში, კედლის სიახლოვეს?

— რიკკი-ტიკკი... შეჭმას ხომ არ უპირებთ მის კვერცხებს?

— არა, შეჭმით არ შევჭამ... დარზი, ერთი ბეწვა ჭკუა რომ მოგეპოვებოდესთ მაგ გაბუმბლულ თავში, იცით რას იზამდით? ახლავე თავლისაკენ გაფრინდებოდით და ნაგენას აქეთ გამოიტეუებდით, აქ ბუჩქნარისაკენ. ნესვნარში მაქვს საქმე... და ახლა რომ წავიდე იქითკენ—ნაგენა დამინახავს.

დარზი ძალიან ჰატარა არსება იყო, მის ერთნამცეცა თავში როცა ერთი რამე აზრი იყო, მეორისთვის ადგილი აღარ რჩებოდა; და რადგანაც მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი და კეთილი. იქნება გასიამოვნოსთ, როცა მკვდარი იქნებით, იმის გაგებამ, რომ ჰატარა იცოდა, რომ ნაგენას შვილებიც კვერცხებიდან იჩეკებოდენ, როგორც მისი საკუთარი ბარტყები—მას საამართლიანათ არ მოეჩვენა, რომ ვისმეს ეს კვერცხები დაეტვრია. საბედნიეროთ დარზის ცოლი ჭკვიანი და გონება გასსნილი ფრინველი იყო და კარგათ იცოდა, რომ კობრას კვერცხები მერმისათვის ჰატარა კობრებს გამოსჩეკს, ამიტომ ის საჩქაროთ გადმოფრინდა ბუდიდან და თავლასაკენ გაეშურა, დარზი კი ბუდეში დატოვა ბარტყების მოსავლელათ და გამარჯვების სიმღერის საგალობლათ. დარზი, ბევრ რამეში, სწორეთ რომ მამაკაცებს ჩამოჰგავდა.

თავლას მიაღწია თუ არა, დარზის ცოლი ნაგენას სიასლოვეს აფართხალდა და აკვნესდა.

— ოო, ფრთა მაქვს, ფრთა მოტეხილი!—დაიწივლა მან.—დიდი სახლის ჰატარა ვაჟმა ქვა მესროლა და მომტეხა!

ნაგენამ თავი მაღლა ასწია.

— თქვენ გააფრთხილეთ განა რიკკი-ტიკკი, როცა მე მის მოკვლას ვაპირებდი?—გაანჩხლებით დაისისინა მან.—უნდა გამოგიტყდეთ, რომ საკოჭლაო ადგილი კარგათ ვერ ამოგირჩევიათ!—და ის სწრაფათ გასრიალდა დარზის ცოლისაკენ.

— ჰატარა ვაჟმა მომტეხა ფრთა, ჰატარა ვაჟმა, ქვით!—ხელ-ახლავ გამწარებული ხმით დაიწივლა დარზის ცოლმა და რეტ-დასხმულივით ძირს ფრენა და ფართხალი განაგრძო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟსაც გავუსწორებ თავის დროზე ანგარიშს. ჩემი ქმარი ამ დილას ნეხვზე უძრავათ აგდია, მაგრამ დაღამებამდი ჰატარა ვაჟიც უძრავათ იქნება გაჭიმული დიდ სახლში. რათ იწუსებთ თავს ფართხალით? ხომ ცხადია, რომ მაინც დაგიჭერთ! სულელო ჰატარა არსებავ, გაჩერდით, აქეთ მობრუნდით, თვალებში შემოშხედეთ!

მაგრამ დარზის ცოლი ამას როგორ იზამდა! მან კარგათ იცოდა, რომ როგორც კი რომელიმე ფრინველი გველს თვალებში შეხედავს—მაშინვე შიშით ჭქავდება და ადგილიდან დაძვრას ველარ ახერხებს. ამიტომ კვნესით და წუწუნით მან განაგრძო თუმცა დაბლა, მაგრამ მაინც სულ უფრო და უფრო შორს ფრენა. ნაგენა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეთვლილი.

ალა მოგწერო, დედილო,
კარგი მაცვია, მხურია,
სუყველაფერი მზადა მაქვს
არც მშია, არცა მწყურია.
ვისთანაცა ვარ მსახურად
ხალხია მეტად ღვთიანი:
იმათ შვილებთან ერთად მაქვს
ჩაი და ყავა რძიანი.

სოფლის ვერნობაც არ იყოს
ერთხელაც ვერა ვძღებოდი,
ზაფხულში სიცხე მხრუკავდა
ზამთარს სიცივით ვკვდებოდი.

წყლის ზიდვით წელი მწყდებოდა
როს ქერ-ყანებსა მკიდიან,
აქ კი ვატარებ აბგებსა
როცა სკოლაში მიდიან.

მანამდის მობრუნდებოდენ
ვარ ჩემთვის არხეინადა,
დასვენება ხომ დიდია
ლხინიც ბევრი მაქვს ლხინადა.

სახლის პატრონის შვილებთან
ერთად ვხტი, ერთად ვნავარდობ,
ასე ვლევ დღეს და ღამესა
და არაფერზე არ ვდარდობ.

ჩემზე ნუ ნაღვლობ, დედილო,
შენ გენაცვალე შენია,
ნეტამც კი ასე მამყოფა
სულ მუდამ ჩემი დღენია.

ესეც ვინატრე სწორედა
დღეს საახალწლოდ დილითა,
როს წამოვდექი გამძღარი
ღამის და დილის ძილითა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხანაგები.

ერის ხმა მოისმა. უკანასკნელი გაკვეთილი გათავდა. ბავშვები წამოიშალენ, დაიწყეს წიგნების ჩალაგება. როდესაც წიგნების შრიალი და ხმაურობა შესწყდა, ერთმა ლოცვა წარმოსთქვა და ბავშვებმა ჯგუფ-ჯგუფათ თავთავის სახლისაკენ გამოსწიეს.

იცი, სონა, თუ შენ ხვალ ხაჭაპურს მომიტან, მე კიდევ ქადას მოგიტან! ეუბნებოდა ერთი ამხანაგი მეორეს.

— წამოდი ჩვენსა და გაჭმევ. უპასუხა სონამ.

— არა, სასწავლებელში მომიტანე. მიუგო ამხანაგმა.

— კი მოგიტან, მაგრამ ცივი ხაჭაპური რა საჭმელია! ცხელი უნდა სჭამო.

— სახლში წავიღებ და გავაცხელებ. ქადას კი გაცხელება არ უნდა. ბებიამ გააკეთა. იმისთანა გემრიელი ქადა კი იცის, როომ...

ანეტა, რომელიც ორ ამხანაგს უკან მოსდევდა, ყურს უგდებდა მათს მუსაიფს და თვალებზე ცრემლები ადგებოდა: დილიდან მშიერი იყო და სახლშიც არაფერი არ დახვდებოდა ავათმყოფი დედის გარდა. ანეტას რასაკვირველია შიმშილი

აწუხებდა, მაგრამ შიმშილზე უფრო ისა სტანჯავდა, რომ ავათმყოფი დედა არა თუ უწამლოთ, ულუკმაპუროთა ჰყავდა. ანეტამ რამდენჯერმე დააპირა სკოლაში ამხანაგებისათვის ფული ეთხოვა, რომ გზაში პური მაინც ეყიდა დედისათვის, მაგრამ ვერც ერთხელ ვერ გაბედა: თუმცა გაჭირვებული იყო, მაგრამ თხოვა მაინც ეძნელებოდა.

ქუჩის მოსახვევში სონა და იმისი ამხანაგი ერთმანერთს გამოეთხოვენ. სონამ პირდაპირ გასწია. ანეტასაც იქითკენ ჰქონდა გზა.

დაღონებული მიდიოდა ანეტა და თან გულში ამბობდა:

— ღმერთო! ნუთუ შიმშილით უნდა მომიკვდეს დედაჩემიო და უნებურათ ამოიოხრა.

— შენა ხარ, ანეტა? მოაძახა სონამ, რომელმაც ამ დროს უკან მოიხედა: როგორ დაღონებული მოდიხარ?

— არაფერი, ისე! მიუგო ანეტამ.

— შენ სულ მუდამ დაღონებული ხარ ხოლმე, რათა ანეტა? დაეკითხა სონა.

ანეტას ცრემლები მოადგა თვალებზე, მაგრამ პასუხი არ გასცა. რამოდენიმე ხანს ჩუმათ მიდიოდენ. სონას უნდოდა, კიდევ ეკითხა რაღაცა, მაგრამ ველარ გაბედა.

— მშვიდობით, ანეტა! გაუწოდა სონამ ანეტას ხელი, როცა თავის ბინას გაუსწორდა.

ანეტა თითქოს შეკრთა.

— მშვიდობით! გაუწოდა სონას ხელი და გაშტერებულივით შეჩერდა.

ის იყო, სონა კარებში შესვლას აპირებდა, რომ ანეტას ხმა შემოესმა და უკან მოიხედა.

— მე მეძახი, ანეტა?

— სონა, იქნება, ერთი აბაზი მასესხო! გადაგიხდი კი, მაგრამ არ ვიცი, როდის. ანეტას ცრემლები მოადგა თვალებზე და უკანასკნელი სიტყვა ძლივს გაათავა.

— ახლავე ანეტა, ახლავე! უპასუხა სონამ, სწრაფათ შევიდა კარებში და მალე ანეტას ათშაურიანი გამოუტანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ამდენი! არა, ვაი თუ ვეღარ გაგიხადო, მარტო აბაზი მომეცი! წაილაპარაკა ანეტამ.

— არა, არა, ანეტა! წაიღე და როცა გექნება, მაშინ გადამიხადე. ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— შენ ავათ ხომ არა ხარ? დაეკითხა ცოტა ხანს შემდეგ სონა.

— არა, მე არა ვარ ავათ, მაგრამ დედა კი ავათა მყავს, წარმოსთქვა ანეტამ და თვალებიდან ცრემლები გადმოსცვინდა.

— მერე რა ვუყოთ, ანეტა, კარგათ გახდება, ანუგეშა სონამ. იცი ანეტა, შენი ბინა მასწავლე და საღამოს მე შენთან მოვალ, დედაშენს ხაჭაპურს წამოვიღებ. იმისთანა კარგია გაცხელებული, რომ... ერთხელ მეც ავათ ვიყავი და მარტო ხაჭაპურსა ვჭამდი, სხვას არაფერს.

ანეტამ ასწავლა თავისი ბინა და ამხანაგები ერთმანერთს გამოეთხოვენ.

ანეტა თოთხმეტის წლისა იყო. მას მამა არა ჰყავდა. მამა მისი ასოთ ამწყობი იყო და ჭლექით გარდაიცვალა. ანეტას კარგათ არც კი ახსოვდა თავისი მამა. ანეტას დედა მარიამი სარეცხის მრეცხავი იყო და ასე არჩენდა თავის ორ შვილს— ანეტასა და რვა წლის არჩილს. იმათი ნესტიანი, ბნელი და პატარა ოთახი დაბლა სართულში იმყოფებოდა. შუაში ფეჩი იდგა, რომლის საკვამლე მილი ბუხარში იყო გაყოფილი. ბუხარს პატარა ზეწარი ჰქონდა ჩამოფარებული. ფეჩზე იხარშებოდა ხან ხორცი, ხან ლობიო. ერთხელ მარიამი სარეცხის რეცხვის დროს გაცივდა და ფილტვების ანთება დაემართა. მთელი თვე ლოგინათ ჩავარდა. ცოტაოდენი ფული რაცა ჰქონდა, ზოგი წამალში დაეხარჯა, ზოგი ექიმში და ბოლოს, მთლათ ხელცალიერი დარჩა. მეპურემ აძლია რამდენიმე დღეს ნისიათ პური, მაგრამ შემდეგ უარი გამოუცხადა: რა ქარვასლების პატრონი თქვენა ხართ, რომ ნისიათ გაძლიოთო. უკანასკნელ დღეს აღარც ფული დარჩათ, ერთი ლუკმა პურიც აღარ მოიძევებოდა სახლში.

ანეტამ შეიარა მეპურესთან და ჰური იყიდა, შემდეგ მაღაზიაში ცოტა ყველი მოაჭრევინა და ძეხვი და გაეშურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლისაკენ არჩილი ფეჩთან იყო ატუზული და ხელებს ითბობდა. ანეტამ რომ კარები შეაღო, მარიამმა ერთი თვალი გადაავლო შვილებს, ამოიოხრა და თავი ველარ შეიკავა: გულ ამომჯდარმა ტირილი დაიწყო.

— დედა, რა გატირებს, ჩვენ არაფერი არ გვიშავს! მოეხვია დედას ანეტა და დაუწყო მოფერება.

— რა გიყოთ, შვილებო, რა გიყოთ, ხომ დამეხოცეთ შიმშილით, ქვითინებდა მარიამი.

— შიმშილით რათ დავიხოცებით? აი პური, ყველი და ძეხვი. გამოიღო ქაღალდებიდან ანეტამ გახვეული საჭმელი და დაალაგა პატარა მაგიდაზე. არჩილს თვალები გაუბრწყინდა და პირში ნერწყვი მოუვიდა: სასწავლებელში ამხანაგმა მოუტეხა პური, თორემ მთელი დღე მშიერი იყო.

— შაქარი და ჩაი გვაქვს, საღამოზე ჩაის ავადუღებ და ჩვენი საქმე კარგათ იქნება! ანუგეშა დედა ანეტამ.

— სად იშონე, შვილო! შენ დაგენაცვლოს დედა შენი. დაეკითხა მარიამი, რომელიც ცოტა არ იყოს გაოცებული იყო; ნეტავი ვინ მისცა ჩემს ანეტას ფული, რომ პური, ყველი და ძეხვიც კი უყიდიაო.

— მე ერთი ამხანაგი მყავს, სონა ჰქვია. ერთი აბაზი ვთხოვე და იმან კი ათი შაური მასესხა. როცა მექნება, გადავუხდი. მიუგო ანეტამ

— ღმერთმა გადაუხადოს ერთი ასათ, ღმერთმა! ჩაილაპარაკა მარიამმა და პირსჯვარი გადისახა.

ანეტამ მოიტანა ოთხკუთხიანი ხის სკამი დედის ლოგინთან, გადააფარა ხელსახოცი, მოიტანა საჭმელი და შეუდგენ სადილს. მარიამმა ცოტა ჭამა, რადგანაც სისუსტისა გამო მადა არა ჰქონდა; არჩილი კი გვარიანათ ილუკმებოდა.

—

— დედა, ამხანაგთან უნდა წავიდე, დედა ჰყოლია ავათ და სულ ტიროდა. ეუბნებოდა ნასადილევს სონა თავის დედას.

— წადი, შვილო, მაგრამ ძალიან არ დაიგვიანო, უპასუხა დედამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, ხელცალიერი ვერ წავალ, ხაჭაპურს დავპირდი, დაიწყო სონამ.

— წაიღე, შვილო, მე ხომ არ გიშლი! მიუგო დედამ.

— ყურძენს წავუღებ კიდევ და ვაშლებს, სამაგიეროთ მე რამდენიმე დღეს ნულარ მაჭმევ, შეეხვეწა სონა.

— შე კუდიანო, შენა! გაუღიმა დედამ. მაშ წამოდი აარჩიე, რაც გინდა, გაგიხვევ და წაუღე. თუკი შენ გიამება, რომ შენს ამხანაგს მიუტანო რამე, მე ეს რათ მეწყინება! დედაშვილი ოთახიდან გავიდენ.

—

მზე ჩასვლას აპირებდა. მარიამის ოთახი ისეც ბნელი იყო და მთლათ ჩამობნელდა. ანეტამ აანთო პატარა ლამპა, დადგა მაგიდაზე, გადაშალა წიგნი და შეუდგა გაკვეთილის მზადებას, ამ დროს კარის რაკუნი შემოესმა და ანეტამ კარი გააღო.

— სონა! ხომ არ გაგიჭირდა მოგნება? მხიარულის კილოთი წამოიძახა ანეტამ.

— არა, პირდაპირ შენს კარებს მოვადექი. მიუგო სონამ.

— აი დედილო, ეს არის ჩემი ამხანაგი სონა, მიიყვანა ანეტამ სონა თავის ავათმყოფ დედასთან და გააცნო.

— შენ გვაჭამე, შვილო, დღეს სადილი? ღმერთმა გადაგიხადოს ჩვენი შებრალებისათვის. წამოილაპარაკა მარიამმა და შეაჩერდა თვალებში.

სონამ ვერ გაიგო, რა სადილზე ელაპარაკებოდა მარიამი, მაგრამ მაინც დარცხვენილივით თავი დახარა ძირს. მისი დედამამა საკმაო შეძლების პატრონი იყვენ, კარგათა სცხოვრობდენ და ასეთ სილარიბეს რომ ჰხედავდა თავისი ამხანაგის სახლში, რაღაც დარცხვენილივითა გრძნობდა თავის თავს.

— აი მე შევასრულე ჩემი დაპირება და ხაჭაპური და ხილი მოგიტანე. წარმოსთქვა ბოლოს სონამ.

ანეტამ გახსნა ხილი და ხაჭაპური და დედას მიუტანა.

— აი დედა, ჩემმა ამხანაგმა მოგიტანა.

— ერთი ასათ გადაუხადოს ღმერთმა, წარმოსთქვა მარიამმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სონა და ანეტა დასხდენ გაკვეთილების მოსამზადებლათ. ანეტა კითხულობდა და სონა ყურს უგდებდა, მაგრამ გაკვეთილები იმის გონებაში სრულებით არ შედიოდა. პატარა, ბნელი ოთახი, პატარა, გამურული ლამპა, ავათმყოფის კვნესა,—ეს ისეთი არაჩვეულებრივი სურათი იყო სონასათვის, რომ მთელი მისი გონება ამ სურათმა დაიპყრო, მიიზიდა.

— ანეტა, მე წავალ ახლა, თორემ დედა ჩემი შეწუხდება. წარმოსთქვა სონამ, როდესაც ანეტამ რუსული გაკვეთილის კითხვა გაათავა.

— ჯერ ადრეა, სონა! ჩვენ ოთახში ბნელა, თორემ გარეთ ჯერ ნათელია. მიუგო ანეტამ.

— არა, ანეტა! დედას დავპირდი, მალე დავბრუნდები მეთქი.

— ნულარ შეაწუხებ, შვილო, ჩვენთან ყოფნა რა სასიამოვნოა! წამოილაპარაკა მარიამმა ამ სიტყვების გაგონებაზე სონას თითქოს შერცხვა.

— კარგი, აღარ გაგაჩერებ, მიუგო ანეტამ. მეკი მეგონა რომ ყველა გაკვეთილებს ერთათ მოვამზადებდით.

— მოვიცდიდი, მაგრამ დედა მეცოდება, რომ დამაგვიანდეს შეწუხდება, მიუგო სონამ; სწრაფათ ჩაიცვა პალტო, ხელი ჩამოართვა ყველას და გამოსწია სახლისაკენ. ანეტამ ალაყაფის კარებამდე გამოაცილა.

— ანეტა, მიუბრუნდა სონა, იქნება ფულ ი კიდევ გინდა?

— მე რომ მინდოდეს, შენი რა გადასახადია? მე იმასაც ვწუხვარ, რაც გამოგართვი,—როდის უნდა გადაგიხადო? დედა ავათ არის, ჩვენ კი არაფერი გვაქვს. შენ რომ არა, დღეს მშივრები უნდა ვყოფილვიყავით.

— მაშ ხვალ სადილი არ გექნებათ? იკითხა სონამ.

— ხვალ კიდევ გვექნება, მაგრამ მერე არ ვიცი.

სონას ხმა აღარ გაუცია, გამოემშვიდობა და გასწია.

— როგორ დაგიხვდენ შენი ავათმყოფები? დაეკითხა ღიმილით დედა, როცა სონა სახლში დაბრუნდა.

— დედა, რომ იცოდე, როგორა სცხოვრობენ! დაიწყო სონამ. პატარა ოთახია და ყველა ერთ ოთახში სცხოვრობ'ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ ერთ ოთახში სძინავთ, სადილობენ და გაკვეთილებსაც იქ ამზადებს ანეტა.

— ღარიბები ყოფილან, შვილო, რა ვუყოთ! ქვეყანაზე ყველა ხომ ერთნაირათ ვერ იცხოვრებს: ზოგი ღარიბი იქნება, ზოგი მდიდარი. მიუგო დედამ.

— მე რომ იმ ოთახში დამსვა, ვერაფერს ვერ ვისწავლი, წარმოსთქვა სონამ.

— შენ ღმერთმა ნუ გაგიხადოს აგრე საქმე, შვილო! ისინი კი მიჩვეული არიან, მიუგო დედამ.

—

გაიარა რამოდენიმე დღემ. ანეტა ავათ გახდა და კლასში ველარ დადიოდა. სონა ძალიან ჩააფიქრა ანეტას ავათმყოფობამ. როდესაც სადილის საჭმელათ დაჯდებოდა ხოლმე, სულ იმას ჰფიქრობდა: ალბათ ანეტა და იმისი დედა ახლა მშივრები არიანო.

სონამ ერთ საღამოს დააპირა, გაეხვია ხელსახოცში პურები, ხორცი, ყველი, შაქარი, ჩაი და წაეღო ანეტასთვის, მაგრამ იფიქრა: ვაითუ ეწყინოს სონას ან იმის დედასო და ამ განზრახვას თავი დაანება.

მესამე გაკვეთილი გათავდა. მასწავლებელი ოთახიდან გავიდა. ბავშვები წამოიშალენ ჟივილ-ხივილით და შეუდგენ სახლიდან წამოღებული საუზმის ჭამას.

— ამხანაგებო, იცით, რომ ანეტა ძალიან ავათ არის? მიმართა სონამ მოწაფეებს.

— ვიცით, როგორ არ ვიცით!

— რა დაემართა, ნეტავი?

— საბრალო ანეტა! მოისმა ხმები.

— იცით, როგორი ღარიბი არის ანეტა? განაგრძო სონამ. საერთო სიჩუმე ჩამოვარდა.

— ღედაც ავათა ჰყავს და ლუკმა პური არა აქვთ. თუ ჩვენ არ მივეშველეთ ჩვენ ამხანაგს, შიმშილით მოკვდება. დაამთავრა სონამ.

რამოდენიმე ხანს სიჩუმე არ დარღვეულა.

— უნდა მივეშველოთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უსათუოთ უნდა დავეხმაროთ.

— როგორ დავეხმაროთ? გაისმა ხმები.

— როგორ დავეხმაროთ და ერთმანერთში ფული მოვაგროვოთ. დაიწყო ერთმა.

— ზოგს თან ფული არა გვაქვს. გაისმა ხმა.

— ვისაც რა შეგვიძლია, ხვალ მოვიტანოთ და გაკვეთილები რომ გათავდება, წავულოთ. წარმოსთქვა სონამ.

— უსათუოთ მოვიტანთ, უსათუოთ.

— მე ბევრი არა მაქვს და ათ შაურს მოვიტან.

— მე დედა ერთი აბაზის მეტს არ მომცემს.

— მე ერთ მანეთს მოვიტან, ისმოდა ხმები.

— ვისაც რა შეგვიძლია, ის მოვიტანოთ. წარმოსთქვა ერთმა და მოსწავლეები ნელანელა ოთახიდან გამოვიდენ.

მეორე დღეს ყველამ მოიტანა თავთავისი წვლილი,— ზოგმა აბაზი, ზოგმა ათი შაური, ზოგმა მანეთი და, როცა ბოლოს სონამ დათვალა, თვრამეტი მანეთი და ერთი აბაზი აღმოჩნდა. სონას სიხარულის სამზღვარი არა ჰქონდა. მისი ამხანაგების სახეზედაც კმაყოფილება იხატებოდა. გაკვეთილების გათავების შემდეგ სონამ ისე მიირბინა სახლში, რომ არ გაუგია.

— დედა, თვრამეტი მანეთი და ერთი აბაზი მოვაგროვეთ, ახარა სონამ დედას.

— მაშ შენ ამხანაგს აღარაფერი უშავს, ღიმილით უთხრა დედამ, მაგრამ ეგ ერთი აბაზი უშნოთ ამოდგომია გვერდით თვრამეტ მანეთს, დაუმატე ცხრა აბაზი და ოცი მანეთი გახდება.

სონამ სიხარულით თვალები დააჭყიტა,—მან თავის მხრით ორი მანათი წარადგინა და არ ეგონა, თუ დედა კიდევ მისცენდა. დედა გავიდა მეორე ოთახში, გამოიტანა ცხრა აბაზი და გადასცა სონას.

— აი! რაკი შენ ითავე ეს საქმე, შენ მეტიც უნდა გამოიღო.

— დედა, შენ ძალიან გულკეთილი ხარ! წამოიძახა სონამ და დაუწყო დედას კოცნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაათავა თუ არა სონამ სადილი, მაშინათვე გასწია ანეტასთან. კარი რომ შეაღო, არჩილს ხახვი და პურის ყუა ეკავა ხელში და შეექცეოდა. მარიამი მითვლემილი იყო. ანეტას სიცხე ჰქონდა, მაგრამ არ ეძინა.

— სონა, შენა ხარ? წამოიძახა ანეტამ და სახე გაუბრწყინდა.

— როგორა ხარ, ანეტა? მიესალმა სონა.

— დედა, სონა მოვიდა! დაუძახა ანეტამ დედას.

— რაი, შვილო? წარმოსთქვა მარიამმა და თვალები გაახილა.

— საღამო მშვიდობისა, მიესალმა სონა მარიამს.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოაკლოს შენს მშობლებს; ე ანეტაც რომ ავათ გამიხდა, შვილო! რაღა ეს მეჭირვებოდა? ი დალოცვილ ღმერთს სამართალი არა აქვს. წარმოსთქვა მარიამმა

— ანეტას არაფერი არ უშავს, მალე კარგათ გახდება. ანუგეშა სონამ.

— მე ახლა უკეთა ვარ, დაიწყო ანეტამ; ორი დღის შემდეგ ისევ დავიწყებ სასწავლებელში სიარულს.

— იცი, ანეტა, დაიწყო სონამ ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ. რადგანაც დედაშენი ავათ არის და შენც ავათა ხარ, ამხანაგებმა ცოტა ფული მოვაგროვეთ თქვენთვის. ხომ არ გეწყინება?

ამ სიტყვებზე სონამ გარდასცა ანეტას ფული.

— კი არ მეწყინება, მაგრამ ჩვენი გულისათვის ამხანაგები რათ უნდა შესწუხდენ? ჩვენ რომ გვიჭირდეს, იმათი რა გადასახადია? წარმოსთქვა ანეტამ.

— ჩვენ სრულებით არ შევწუხებულვართ, ანეტა, სრულებით, დედა არ მომიკვდეს, დაიწყო თავის მართლება სონამ, თითქოს რაიმე დანაშაული მიუძღოდა.

— დედა, უყურე, რაცა ფული მოუგროვებია ჩვენთვის სონას! დაუძახა დედას ანეტამ და თავის ძმას გაუწოდა ფული: დედას მიუტანეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამს მეტის სიხარულისაგან სიცილი აუვარდა, ფული რომ დათვალა.

— ეს მთელი სიმდიდრეა ჩვენთვის! რა ანგელოზი მოგვივლინა ეს ღმერთმა! შვილებო, შვილებო, აღარ დამეხოცებით აწი შიმშილით, აღარ! იმეორებდა ცრემლებ მორეული მარიამი.

სონას ცრემლები მოადგა თვალებზე. სიჩუმე ჩამოვარდა.

— დედა, კალბასს ვიყიდი! დაარღვია სიჩუმე არჩილმა.

ანეტას და სონას სიცილი შესკდათ.

—

რამოდენიმე დღეში ანეტა კარგათ გახდა და სასწავლებელში დაიწყო სიარული. მარიამიც წამოდგა ლოგინიდან, მაგრამ ჯერ მაინც სუსტათ იყო და, სანამ ძველებურათ მუშაობას შესძლებდა, ანეტას ამხანაგებისაგან მოგროვილი ფული მას საკმაოთ ეყო.

ივ. გომართელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვაგი

(თქმულობა)

I

ოდესაც დუნკანმა თავისი შვილი დაასაფლავა, ჩაიკეტა თავის ოთახში, არავის არ ელაპარაკებოდა და საჭმელსაც კი არ ეკარებოდა. მის მეგობრებს და მოსამსახურეებს უკვირდათ, რომ აქნობამდინ არაფერ განკარგულებას არ აძლევს ოლაფის შესახებ და ეგონათ, რომ უთუოდ რაღაც საშინელ სასჯელს თუ უმზადებს, მაგრამ შემცდარი იყვნენ. დუნკანი ოლაფის მოკვლას ვერ ბედავდა იმიტომ, რომ ყვავის სიტყვები სჯეროდა, ყოველთვინ როცა კი ოლაფს მკვლელს უძახდნენ საშინლად ყვიროდა და ყრანტალებდა.

ერთხელ დუნკანი ოთახში დადიოდა, ყვავი კი სავარძლის თავზე იჯდა და ნაღვლიანად ჩხაოდა.

— რა გინდა? გაჩუმდი... დაუყვირა დუნკანმა.

ყვავი ცოტა ხანს გაჩუმდა და ისევ მოწყენილი ყრანტალი დაიწყო.

— რა გინდა?—ჰკითხა დუნკანმა და იმის წინ შესდგა, —აბა, რა გინდა? თავი დამანებე. მე მინდა იმის შურისძიებით დავსტკბე! იმან ხომ ჩემი ერთად ერთი შვილი და ნუგეში წამართვა.

— ტყუილია,—დაიჩხავლა ყვავმა და ფრთები შეიფერთხა.

— შენ თითონ ნახე?

— ვნახე,—უპასუხა ყვავმა.

— მაშ ვინ იყო, თუ ის არა?

მაგრამ ყვავს მკვლელის დასახელება ვერ შეეძლო, მარ-

ტო გაჯავრებული წამოიყვირა და ნისკარტით დაუწყო სავარძლის ხეს ცემა.

— წადი, გაფრინდი, ნახე რას აკეთებს ოლაფი—უთხრა დუნკანმა.

ყვავი გაფრინდა სასახლის უკანასკნელ კოშკისაკენ, საცა ოლაფი დამწყვდეული იყო. იმას სადგომში მარტო ერთი სარკმელი ჰქონდა, რომლიდამაც მარტო პატარა ნაჭერი ცა მოჩანდა, სარკმელს არც შუშა ჰქონდა და არც დარაბი, მარტო მართულის ბადე. ყვავი ბადეზე ჩამოჯდა.

ოლაფი იატაკზე იჯდა, თავის ტანისამოსიდამ პატარა ნაჭერი მოეხია და სცდილობდა სისხლით, რომელიც გაჭრილი თითიდან სდიოდა, დაეწერა რამე, მაგრამ ასოების მაგივრად ნაჭერს ლაქები ემჩნეოდა და ძნელი გასარჩევი იყო.

როცა ყვავის ფრთებმა სინათლე დაუჩრდილეს, ოლაფმა თავი მაღლა აიღო და მოწყენილათ ყვავს შეხედა.

ყვავი შეფრინდა ოთახში და ოლაფს თავზე დასტრიალებდა. უცბათ ძირს ჩამოფრინდა, მოიტაცა ნაჭერი, რომელზედაც ოლაფი სწერდა და ისევ ფანჯარაში გამოფრინდა.

ყვავი დუნკანთან დაბრუნდა და ნაჭერი წინ დაუდო. დუნკანი ნაჭერს დააკვირდა და მარტო ერთი სიტყვა ამოიკითხა: მამა.

— უნდა მამას წერილი მისწეროს,—სთქვა დუნკანმა,—ვნახოთ რას ეტყვის.

აიღო ქაღალდი, მელანი, კალამი, ყვავს მისცა და უთხრა:

— წადი, წაუღე.

ყვავი გაფრინდა.

ოლაფს ძალიან გაუკვირდა, როცა პატარა ხანს უკან ყვავი ისევ დაბრუნდა და ნისკარტით ქაღალდი, ბატის ფრთა და მელანი მოუტანა.

— გინდა რომ წერილი დავწერო,—სთქვა მან,—წერილს ვინ წაიღებს? შენ?..

ყვავმა დაიყრანტალა, თითქოს უნდოდა ეპასუხა:

— მე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლაფმა კალამი აიღო და დასწერა:

მამა! მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და არ ვიცი რა მომელის. რაც უნდა მომივიდეს, თუ კი ამ წერილს მიიღებ, იცოდე რომ მოგატყუილეს, მე არა ვარ დამნაშავე ვოლდემარის მოკვლაში.

ქაღალდი დაკეცა, ტანთსაცმელს ვიწრო ნაჭერი ჩამოახია და წერილი ყვავს კისერზე ჩამოაბა.

— იცი სად უნდა წაიღო ეს წერილი? ჰკითხა მან—მამა ჩემთან, გრაფ სვენთან...

ყვავმა პასუხათ დაიყრანტალა, თითქოს ეუბნებოდა:

— ვიცი, ვიცი.

ოლაფმა ყვავს თავზე აკოცა და გამოაფრინა.

ყვავმა წერილი ჯერ დუნკანს მოუტანა. დუნკანმა წაიკითხა, შუბლი შეიჭმუხნა და წერილი ისევ ყელზე ჩამოაბა.

— თუ პასუხი იქნება, შემომიტანე,—უთხრა მან.

ყვავი გრაფ სვენთან გაფრინდა, დუნკანი კი ოლაფთან წავიდა.

— გამოტყდი, უთხრა მან ოლაფს: შენ მოჰკალი ჩემი შვილი?

ოლაფს ისე შეეშინდა დუნკინის დანახვაზე, რომ სიტყვის თქმა ველარ მოახერხა და მარტო თავი გაიქნია.

დუნკანმა მოტყუება მოინდომა.

— გამოტყდი, გაიმეორა მან, არ მოგკლავ, არ დაგსჯი.

— მე არ მომიკლავს, უპასუხა ოლაფმა.

— კარგა მოიფიქრე,—უთხრა დუნკანმა,—სამი დღე მომიცია საფიქრებლად.

საღამოზე ყვავი დაბრუნდა და დუნკანთან შეფრინდა, კისერზე წერილი ჰქონდა მობმული. დუნკანმა წერილი გახსნა და წაიკითხა.

— მე მჯერა, ჩემო შვილო, იმიტომ რომ შენ არას დროს სიცრუე არ გითქვამს. მაგრამ მე შენი დახსნა არ შეიძლია, რადგან სულელური ფიცითა ვარ შეკრული, შენი ძმა კი არ უარჰყოფს შენს დანაშაულობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დუნკანმა ყვავს უკანვე ჩამოჰკიდა წერილი და ხელი გაუქნია, თითონ ოთახში დადიოდა აღელვებული.

„შენ არას დროს ტყუილი არ გილაპარაკნია, არ მოგიტყუებივარ“, იმეორებდა წერილის სიტყვებს“...

ყვავი ოლაფთან მოფრინდა და წერილი გადასცა. ოლაფმა რომ წაიკითხა, იატაკზე გაწვა და მწარეთ ტირილი მორთო, მაგრამ ყვავი არ ასვენებდა: ყვიროდა, ჩხაოდა, თავზე აჯდებოდა, ტანისამოსს უკორტნიდა, ბოლოს ნისკარტით კალამი მოიტაცა და გაჯავრებული ქაღალდს არტყამდა.

— რა გინდა? რა გინდა ჩემგან, ჭკვიანო ფრინველო, ნამტირალევი ჰკითხავდა ოლაფი.—კიდევ წერილი დავწეროთ? ვის მივწეროთ? ჩემ ძმას!

— ძმას, ძმას! იმეორებდა ყვავი.



ოლაფი წამოდგა და თავის ძმას გორმს წერილი მისწერა:

„ძმაო, რაზედა მღუპავ? რა დაგიშავე? თუ იმისი გეშინიან რომ მამა მომეტებულ ნაწილს თავის სიმდიდრისას მე მიანდერძებს, გეფიცები რომ მე არაფერი არ მინდა. მე მზათა ვარ ყველაფერი უკან დაგიბრუნო, ოღონდ კი დამიხსენ სიკვდილისაგან.

ეს წერილიც დუნკანმა გადიკითხა.

— აი რაში ყოფილა საქმე! — გაიფიქრა მან, როდესაც მემკვიდრეობის შესახებ წაიკითხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის ორი დღის სიცოცხლეღა დამრჩა, გაიფიქრა ოლაფმა, როდესაც იძინებდა.

ყვავმა ღამე ხის ტოტზე გაატარა და როცა გათენდა, სვენის სასახლისკენ გაფრინდა. გორმის ოთახის ფანჯარა დაუკაკუნა. გორმს თუმცა ჯერ კიდევ ეძინა, მაგრამ ყვავის ნისკარტის რაკუნმა გამოაღვიძა.

— რა გინდა! დაუყვირა მან გაჯავრებული.

ყვავი მაინც არ ისვენებდა. გორმი ადგა, ფანჯარა გააღო და წერილი გამოართვა. წერილს რომ კითხულობდა, სახე ეცვლებოდა, ბოლოს ისე გაბრაზდა, რომ წერილი დახია და გადაყარა.

— წადი, დამეკარგე აქედამ,—დაუყვირა ყვავს და ხელი მოუღერა, მაგრამ ყვავი არ გამოფრინდა და საშინლად ჩხაოდა.

გორმ ს მოსამსახურეებს ამ ხმაურობაზე გამოეღვიძათ.

— რა არის? ოლაფის სული ხომ არ მოფრენილა დასასჯელათ, გაიფიქრეს მათ.

გორმა ხმალი ესროლა, ყვავი ფანჯარიდამ გამოფრინდა. გორმა ფანჯარა დახურა და ისევ დაწვა.

— რა ამბავია? გაიფიქრეს მოსამსახურეებმა, როდესაც ხმლის ხრიალი გაიგეს, გორმს თავისი ძმის აჩრდილი ხომ არ ელანდება?

არ გაიარა ხუთმა წუთმა, გორმს ხელახლათ ფანჯარაში კაკუნი მოესმა, ის კედლისაკენ გადაბრუნდა, ყურები დაიცო, თავიდამ ფეხებამდინ საბანში გაეხვია, მაგრამ ვეღარ დაეძინა, ყვავი ფანჯარას აკაკუნებდა და ჩხაოდა. ბოლოს გორმი წამოხტა, ხმალი აიღო, ფრთხილათ ფანჯარა გააღო და ყვავს გაარტყა. ამ ჯეროობაზე ყვავმა თავი ვეღარ დაახწია და ხმალი ფეხში მოხვდა. სიმწარით დაიჩხავლა და გაფრინდა. წყაროზე იარა გაიბანა და დიდხანს ტყეში ისვენებდა. ტკივილი უშლიდა საწყალ ყვავს ჩქარ ფრენას. საღამოზე ძლივს დუნკანის სასახლეში მიფრინდა.

დუნკანმა თავის საყვარელი ყვავის გასისხლიანებული ფეხი რომ დაინახა, ჰკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ დაგკოდა? იმ საზიზღარმა ხომ არა, რომელმაც თავისი ღვიძლი ძმა გასცა?

— იმან, იმან,—უპასუხა ყვავმა.

დუნკანს უნდოდა იარა შეეკრა, მაგრამ ყვავი გაუსხლტა ხელიდამ და ოლაფთან გაფრინდა.

— მე ნამდვილათ ვიცოდი, ნამდვილათ ვიცოდი,—სთქვა ოლაფმა მოწყენით, როდესაც ნახა რომ ყვავს წერილი არ ჰქონდა, რომ პასუხს არ მომწერს. თავი ჩაღუნა საწყალმა ბავშვმა და ცრემლებს ძლივს იმაგრებდა.

ყვავი მხარზე შეაჯდა და თავის დაჭრილი ფეხი უჩვენა.

— საწყალო ფრინველო, სად იტკინე? სთქვა ოლაფმა და არ იცოდა, რითი დაემშვიდებინა თავისი მეგობარი, დაუყარა თავისი პურის უკანასკნელი ნამცეცები და უკანასკნელი წვეთი წყალი დაუსხა.

ყვავს სრულებით ეს არ ესაჭიროებოდა, ის ისევ ნისკარტით ქაღალდს უკაკუნებდა.

— მე აღარავინ მყავს, რომ წერილი მივწერო,—უპასუხა ოლაფმა, მაგრამ ცოტა ფიქრის შემდეგ ვოლფგანგი მოაგონდა და ოლაფმა დასწერა:

„ვოლფგანგ, მე შენ ყოველთვინ ჩემს მეგობრად გთვლიდი და შენთვის ცუდი არაფერი არ მიქნია, შენ როგორ გაიმეორე რომ მე მოვკალი დუნკანის შვილი, როდესაც მე არ მომიკლავს? ჯერ კიდევ დროა, რომ მართალი სთქვა, შემიბრალე, დამიხსენ. განა სვინიდისი არ დაგტანჯავს, როდესაც მოვკვდები?“

ოლაფი ყვავს ტკბილათ გამოესალმა და ასე ფიქრობდა:

— თუ ესეც არ შემიბრალებს, მარტო ერთი დღეღა სიცოცხლე დამრჩენია.

ყვავმა ეს წერილიც დუნკანს წააკითხა. მთელი ღამე ოლაფის ფანჯარაში ეძინა და დილა ადრიანათ გაფრინდა და საღამოზე პასუხი მოუტანა.

„გრაფო,—სწერდა ვოლფგანგი ოლაფს,—მეისე დანაშაული ვარ შენთან, რომ შენდობის იმედი აღარც კი მაქვს. მაგრამ შენმა ძმამ დაგვარწმუნა, რომ გრაფი სვენი შენ დას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯას არავის არ გააბედვინებს, იმიტომ შენ დაგაბრალეთ რომ სხვა დაგვეხსნა. მე შენი ხსნა არ შემიძლია, რადგან შევფიცეთ ერთმანეთს, რომ საიდუმლო არ გამოვამჟღავნოთ, მე რომ კიდეც გავბედო და მართალი ვსთქვა, ვინ დამიჯერებს? მაღალი ღმერთი იყოს შენი შემწე.

როცა ეს წერილი წაიკითხა დუნკანმა, მუშტი მაგიდას მაგრა დაარტყა და სთქვა:

— მე რომ ნამდვილათ ვიცოდე, რომ სულ ეს მართალია და განგებ არა სწერენ, ჩემს მოსატყუებლად!

ოლაფმა რომ წერილი წაიკითხა კი არ იტირა, იატაკზე გაწვა, სახე დაიფარა და აღარაფერზე აღარ ფიქრობდა. როდესაც ყვავის ფრთების ფრთხიალი გაიგონა, თავი წამოჰყო და უთხრა:

— ნუ გაფრინდები! დარჩი ჩემთან ამ უკანასკნელ ღამეს.

უცბად ყვავმა უპასუხა:

— ოლაფ! ოლაფ!

იმან პირველად წარმოსთქვა იმისი სახელი. ოლაფს ეგონა, რომ გვერდით საუკეთესო მეგობარი ჰყავს და მწუხარება შეუმსუბუქდა.

ღამე ხშირად ეღვიძებოდა, ფანჯარას შეხედავდა და ჰკითხავდა:

— ყვავო, აქა ხარ?

— ოლაფ, უპასუხებდა ყვავი.

დილით დუნკანი მოვიდა მასთან და ჰკითხა:

— შენ მოჰკალი ჩემი შვილი?

— არა,—უპასუხა ოლაფმა.

დუნკანი დიდხანს გაჩუმებული იყო და ბოლოს უთხრა:

— მე შენი მოკვლა არ შემიძლიან და არც გაგანთავისუფლებ იმიტომ, რომ არ ვიცი რომელი თქვენგანი მატყუილებს. შენ ჩემ ტყვეთ დარჩები იქამდინ, სანამ მართალს არ შევიტყობ.

III

მოხუცს სვენს თავისი შვილი ოლაფი მკვდარი ეგონა. რამდენიც დრო მიდიოდა, იმდენათ უფრო და უფრო მოუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვენრად იყო. იმას უნდოდა, შვილის ბედიღბალი შეეტყო და ერთი კიდევ მაინც ენახა. იმას აღარაფერი არ მოსდიოდა თვალში, რაც გარშემო ხდებოდა. მთელი დღეები მარტოდ მარტო იჯდა თავის ოთახში. გორმი ყოველ დღე იმას იმეორებდა, რომ დროა მოხუცმა გრაფმა თავისი უფლება და მამული გადმომცესო, რადგან იმას არაფერი არა სჭირდება. მეტადრე ძნელი იყო სვენისთვის ღამეები, ძილი არ ეკარებოდა და მარტოკა ეშინოდა. გამოდიოდა ოთახიდამ და დერეფან'ში დადიოდა ხოლმე, თავის შვილის ოთახს მიადგებოდა და უკაკუნებდა. გორმს არ ეძინა, მაგრამ განგებ ხმას არა სცემდა. ძალიან კარგად იცოდა, რომ მამა მისი ერთ და იგივეს ჰკითხავდა, რომელზედაც გორმი პასუხს არ აძლევდა.

ზოგჯერ სვენი თავის მოურავთან შევიდოდა ხოლმე და გათენებამდინ იქ იჯდა. იმათ იცოდნენ, რომ მოხუცს უძილობა აწუხებს და არა ჰკითხავდნენ, თუ რისთვის მოვიდა. ბოლოს ერთხელ სვენმა უთხრა გორმს.

— მე შენ მოგცემ მთელ ჩემ სასახლეს და მამულს, ოღონდ კი მითხარი, მართლა დამნაშავეა ოლაფი, თუ არა?

გორმა ავის ღიმილით გაიღიმა და უთხრა:

— კარგი, ქალალდზე დასწერე რომ ყველაფერს მე მაძლევ და ბეჭედი დაუსვი, მერე დაიბარე მთელი შენი ქვეშევრდომი გლეხები, მოსახლეები და ყველას გამოუცხადე, რომ დღეის იქით მე ვარ იმათი ბატონი და მერე გეტყვი მართალს.

სვენმა ყველაფერი აასრულა: დაიბარა თავისი ქვეშევრდომნი გლეხები, მოსახლეები, კარისკაცები, დააფიცა, რომ ახალ ბატონს დაემორჩილებიან. გორმის მეგობრებს ძალიან უხაროდათ და მოხუცნი კი მწუხარეთ თავს აქნევდნენ.

როდესაც ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, სვენმა მოაგონა გორმს თავის პირობა. გორმა უპასუხა:

— მინამ შენ აქა ხარ ვერაფერს ვერ გეტყვი. ყველანი შეჩვეული არიან შენ მორჩილებას და შესაძლოა ისევ უკან წამართვა მამული.

— ავო შვილო, უპასუხა სვენმა,—მე ვგრძნობ რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიპასუხებ... მე მაინც მინდა გავიგო, რასაც იტყვი. ხვალვე გაგეცლები შენ სახლიდამ.

მეორე დღეს დილით სვენი სამგზავროთ მოემზადა, დაიხურა თავის ქურქი, რადგან შემოდგომა იყო და ციოდა და ხელში სამგზავრო ჯოხი აიღო, შინაურებს გამოეთხოვა, ნება არავის არ მისცა გაეცილებინათ. გორმიც გამოვიდა და თან თავისი ცხენი მიჰყავდა.

— მალე დაილაპარაკებ?—მოუთმენლად ჰკითხა მოხუცმა, როდესაც სასახლის უკანასკნელი კოშკი გაიარეს და ტყეს მიუახლოვდნენ, გორმმა გაიღიმა, თითქოს მოხუცის ტანჯვით სიამოვნებდა.

— სულელო მოხუცო, —უპასუხა მან, —სულ შენი ბრალია, რაც მოხდა... რაზედ მაშინებდი ხოლმე, რომ ჩემ წილ მემკვიდრეობას წამართმევ.—მეც ვეცადე, რომ არავინ შემცილებოდა.

სვენს სიბრაზით თვალები გაუბრწყინდა, შვილს საყელოში მივარდა.

— მაშ შენ იცრუე, როდესაც იმას დააბრალე?..

— რასაკვირველია, —დამშვიდებით უპასუხა გორმმა.

— მაშ ნამდვილი მკვლელი ვინ არის?

— მაგის თქმას არ დაგპირებივარ.

სვენს მეტი სალაპარაკო აღარა ჰქონდარა შვილთან და მწუხარებით ხელები სახეზე მიიფარა.

გორმმი ცხენს შეახტა და უკან სახლში დაბრუნდა.

— ნეტაი დუნკანის სასახლემდინ მაინც მივახწიო. ფიქრობდა სვენი, —ვიპოვო ოლაფის საფლავი და მერე თუნდაც მოვკვდე.

ის ნელნელა მიდიოდა, მეოთხედი გზა არც კი ჰქონდა გავლილი, რომ კიდეც დაუღამდა. ეხლა მოაგონდა, რომ გზაზე საგზალი არაფერი არ წამოელო. გარშემო არავინ არ სცხოვრობდა. სვენმა ცეცხლი დაანთო, რომ გარეული მხეცები შეეშინებინა და დაწვა. ღამე თოვლი მოსულიყო და როდესაც გაღვიძა დედა მიწა თოვლით იყო დაფენილი და დაავიწყდა, რომელ მხრიდამ მოვიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი დღე დახეტიალობდა ტყეში და ადამიანის სადგომს ეძებდა, პირში ნატამალი არ მიჰკარებია თოვლის მეტი. მეორე ღამეც იმავე ტყეში მოეწია ეხლა უფრო დაღალული და უნუგეშოთ იყო. კიდევ ცეცხლი დაანთო და ხის ქვეშ ჩაეძინა.

დილით როგორც კი თვალი აახილა, დაინახა რომ იმის გვერდით დიდი შავი ყვავი დახტის. სვენმა იცნო ის ყვავი, რომელმაც შვილის წერილი მოუტანა და უთხრა:

— ყვავო, ოლაფის საფლავთან მიმაცილე.

— ოლაფ,—მოულოდნელად გაიმეორა ყვავმა, აფრინდა და ტოტზე შეჯდა.

სვენს გულმა ძგერა დაუწყო. ადგა, ძლივს ფეხებს მიათრევდა და ფრინველს უკან გაჰყვა. როდესაც მიუახლოვდა, ყვავმა დაიჩხავლა და კიდევ გადაფრინდა. მალე გზაზე გამოვიდნენ. სვენი მიწაზე დაეშვა და სთქვა:

— მე მეტი სიარული აღარ შემიძლია. აქ მოვიცდი, იქნება ვინმემ გამოიაროს.

ყვავმა რაღაც დაიჩხავლა და გაფრინდა.

მალე გზაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ.

— ვინც უნდა იყვნენ უთუოდ შეიბრალებენ მოხუცს— გაიფიქრა სვენმა.

როდესაც ცხენოსნები მიუახლოვდნენ, სვენმა შეამჩნია,რომ ერთ იმათგანს მხარზე ყვავი უჯდა, კარგა დააკვირდა და დუნკანი იცნო.

რამდენიმე კაცი გარს შემოეხვია ღვინოსა და საჭმელს სთავაზობდნენ და ჰკითხავდნენ, ვინ არის და სად მიდის?

— თუ არა ვცდები, ეს მოხუცი გრაფი სვენია,—უთხრა ერთმა რაინდმა, რომელიც დუნკანის გვერდით მოდიოდა.

დუნკანი საჩქაროდ ცხენიდამ გადმოხტა და მოხუცს მიუახლოვდა.

— მართლა, შენ გრაფი სვენი ხარ?—ჰკითხა მან—რატომ ეგრე მარტოკა ხარ?

— უთუოდ მწუხარებამ ძალიან გამომცვალა, რომ შენ ვერცკი მცნობ, უპასუხა სვენმა.—მე შენთან მოვდიოდი დუნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კან—მინდოდა ნება მეთხოვნა, რომ ჩემი შვილის საფლავი მენახა, თუკი ვინმემ დაასაფლავა იგი.

ის პასუხს უცდიდა, მაგრამ დუნკანმა თავი ჩაღუნა და გაჩუმებული იყო. სვენმა ღრმად ამოიოხრა, მერე ტანში გასწორდა და თვალები გაუბრწყინდა.

— კიდევ უნდა მეთქვა,—განაგრძო მან,—რომ ჩემი ოლაფი არ არის მკვლელი.

— მაშ ვინ არის? გამოეკითხა დუნკანი.—დამისახელე ნამდვილი მკვლელი!

— იმისი სახელი არ ვიცი,—უპასუხა სვენმა,—მე მხოლოთ აი რა ვიცი—და იმან უამბო ყველაფერი, რაც გორმის და იმის შუა მოხდა.

დუნკანი თავ ჩაღუნული ყურს უგდებდა და მას აღარ უნდოდა შვილის სისხლის აღება; უხაროდა, რომ ოლაფი შეიბრალა და არ დასაჯა.

— დამშვიდდი სვენ,—უთხრა მან და ხელი მხარზე დაადო.

ბენ ჩემზე უფრო ბედნიერი ხარ, შენი შვილი ცოცხალია.

სვენს სახე შეეცვალა.

მე რომ „მოხუც სვენს“ არ მეძახდნენ და შენ „სასტიკ დუნკანს“ მე მეგონებოდა რომ დამცინი,—სთქვა მან.

— მე არ დაგცინი, სვენ. წამოდით ჩემთან!

მაშინვე უბრძანა, სვენისთვის ცხენი მოერთმიათ და სასახლისაკენ გასწიეს.

მთელი გზა სვენის გულში შიში და იმედი ერთმანერთს ებრძოდნენ. ყვავი წინ მიფრინავდა, თითქოს აჩქარებდა ყველას. ხანდისხან უკან ბრუნდებოდა და ან დუნკანს მხარზე დააჯდებოდა და ან ცხენს თავზე, მერე ფრთებს შეაფრთხიალებდა და ისევ წინ გაფრინდებოდა. ბოლოს სასახლემდინ მიაღწიეს. ცხენებიდამ გადმოხტნენ. დუნკანმა თავის სტუმარს ხელი დაუჭირა და კოშკთან მიიყვანა.

აი კოშკის მძიმე კარები გაიღო, ყვავი პირველი შეფრინდა ოთახში და მხიარულად დაიჩხავლა:

— ოლაფ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილი ტყავზე კუთხეში ეგდო, თავი მაღლა აიღო და სვენმა თავისი შვილი იცნო.

IV

სვენმა დიდხანს ველარ იცოცხლა. მძიმე ნაღველმა და სიხარულმა ღონე გამოულია. ის დუნკანის სასახლეში გარდაიცვალა საყვარელ შვილის ზრუნვით და ალერსით დამტკბარი.

როცა სვენი დაასაფლავეს, დუნკანმა უთხრა ოლაფს:

— მე შენ ძალიან შემიყვარდი, ოლაფ. დარჩი ჩემთან და ვოლდემარის მაგიერობა გამიწიე.

ოლაფი დასთანხმდა. დუნკანმა ისე შეიყვარა, როგორც საკუთარი შვილი და დაავიწყდა ბრუნოს და გორმის ჯიბრის ამოყრა.

(თარგმანი)

ეკ. მესხი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვა-ნახშირი.

ადესმე, შორეულ დროში, მილიონი წლების წინად, ედა-მიწის ზურგზე იზრდებოდა ერთგვარი უზარ-მაზარი ხეები. მათი მსგავსი ჩვენ დროში აღარ მოიპოვება. ამ ხეების უდაბური ტყეები იზდებოდა ჭაობიან ადგილებშიაც. ხეები ჟამთა სვლაში ბერდებოდენ, ხმებოდენ და იქვე ჭაობში იქცეოდენ და ლპებოდენ. შემდეგ იმ ადგილსავე ახალი იმ გვარივე ხეების ტყე შენდებოდა. ამ გვარად რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ჭაობის ფსკერზე ეფინებოდა ზედი-ზედ ამ ხეების დამპალი ნაშთი. ედა-მიწის სისქე იმ დროს უფრო თხელი იყო, ვიდრე ეხლა, შიგნიდან ედა-მიწის სისქეს აწვებოდა გამდნარი და გახურებული მიწის გულში მყოფი სხვა და სხვა ნივთიერება. თხელი ედა-მიწა ვერ უძლებდა ამ ძალას, ზოგან ამოიბერებოდა და ზოგან კი ჩაიწევდა. ამობერილი ადგილებიდან წყლები გადმოვიღოდა დაბლობზე და ხშირად მომხდარა, რომ ის ადგილები, სადაც დაბურული ხეები იზრდებოდა, წყლით დაიფარებოდა ხოლმე. წყლების მოტანილი ქვიშა და თიხა ხეებს ზეიდან ეფინებოდა და ის ხეები უჰაეროთ ლპებოდენ მიწის ქვეშ რამდენიმე საუკუნის განმავლობაში. ზეიდან დაწოლილი მიწის სიმძიმით მაგრდებოდენ, ქვავდებოდენ და თანაც შავდებოდენ და აი ეს უჰაეროთ დამპალი, გაშავებული და გაქვავებული უზარ-მაზარი ხეების ნაწილი არის ქვა-ნახშირი. ამ გვარ ჩავარდნილ ადგილებს ნიაღვარის მოტანილი ქვიშა და თიხა სრულებით ამოავსებდა, მზე თავის სხივებით წყალს ამოაშრობდა და მიწის გულში იმარხებოდა უზარ-მაზარი ხეები ქვა-ნახშირად ქცეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი საუკუნოები იყო მიწის ქვეშ დამარხული ეს მეტად სასარგებლო ნივთიერება, სანამ ადამიანმა მას არ მიაგნო და თავის საჭიროებისათვის არ ამოიღო მიწიდგან. ადამიანმა დაარქვა მას ქვა-ნახშირი, რადგანაც ქვასავით მაგარია და ნახშირსავით შავი და ნახშირსავით იწვის. ცეცხლში ჩადებული ის მშვენივრად იწვის, მაგრამ, როგორც ცეცხლიდან ამოიღებ, მაშინვე ჰქრება. ნაცეცხლურ ქვა-ნახშირს სიმძიმე აკლდება, ნახვრეტები უკეთდება და მაშინ იმას უწოდებენ **კოკს**. კოკსი მშვენიერად იწვის ცეცხლში და ჰვარტლს სრულებით არა აქვს.

ამ ჟამად ქვა ნახშირს ბევრს ადგილს პოულობენ მიწაში ჩამარხულს. ჩვენს ქვეყანაშიაც, იმერეთში, სახელდობ ტყიბულში, აოის ქვა ნახშირი და იქ ბლომათ იღებენ მიწიდან. ქვა-ნახშირი შეშაზე უფრო იაფად ღირს და სითბოს კი შეშაზე მეტს იძლევა ერთი ფუთი ქვა-ნახშირი იმდენსავე სითბოს იძლევა, რამდენსაც სამი ფუთი კარგი შეშა. ამიტომაც ქვა-ნახშირი მეტად სასარგებლოა განსაკუთრებით იმისთანა ქარხნებისათვის, სადაც მადნეულობას ადნობენ, რადგან მადნეულობის სადნობ ქარხანას ბევრი სითბო სჭირდება.

მიწის გულიდან ქვა-ნახშირის ამოსაღებად დიდ და ღრმა ჭებს სთხრიან. ამ ჭებს **მაღაროები** ჰქვიან. მაღაროების თხრა მეტად ძნელია: მიწა ზოგან სილიანია და ფხვნილი და ამიტომ ადვილად ირღვევა და სცვივა ძირს, ზოგან კი მაგარი ქვაა და იმის გაჭრას ბევრი დრო და ღონე უნდება, ზოგან კიდევ მიწის თხრის დროს წყალი ჩნდება, რომლის ამოსაწურად მაშინებს ხმარობენ. მაღაროებს დიდ სიღრმეზე სჭრიან ხოლმე, რადგანაც ქვა-ნახშირი მიწაში ძალიან ღრმათ არის ჩამარხული. მაღაროებს შიგნით ყოველ მხრიდგან დიდ დერეფნებს უკეთებენ, რომ ყოველ მხარეზე შეიძლებოდეს ქვა-ნახშირის ამოტეხა. ამ დერეფნებში რელსები არის გაწყობილი, რომ ქვა-ნახშირით დატვირთული პატარა ვაგონები სიღრმიდან გამოიტანონ. მაღაროებიდან ზეით ქვა-ნახშირს ზიდავენ დიდი კალათებით, რომელთაც მაღლიდან სვიელი თოკებით ჩაუშვებენ ხოლმე. თოკი ზეით დიდ ბორბალზეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დახვიული, რომელსაც ატრიალებენ ცხენის, ან მანქანების საშვალებით. კალათებითვე ჩადიან და ამოდიან მაღაროებში მუშები და მათი ზედამხედველები.

მაღაროებში მუშაობა მეტად ძნელია; შიგ მეტად შეხუთული და ცხელი ჰაერია. მაღაროებს ხშირად 800 საჟენი სიღრმე აქვს და ხომ იცით, რომ შიგნით მიწაში ამ სიღრმეში მეტად ცხელა. 40 გრადუსი და კიდევ უფრო მეტი სიცხეა შიგ. მაღაროები თხუნელას სოროებს მოგაგონებს ადამიანს. როგორც თხუნელას სოროებში, იმაშიდაც ათას გვარად მიხვეულ-მოხვეული დერეფნებია, სადაც მრავალი მუშა ფუსფუსებს ხოლმე. ყოველ მუშას თავისი საქმე აქვს: ზოგი მაღაროების ქვა-ნახშირის კედლებს ამტვრევს, ზოგი მოტეხილ ქვა-ნახშირს გროვათ აწყობს, ზოგი ქვა-ნახშირით პატა-



რა ვაგონებს ტვირთავს, ზოგი რელსებზე პატარა ვაგონებს მიაგორებს კალათებისკენ, ზოგი მოწოლილ წყალს სხვა-დასხვა მაშინების საშვალებით წრეტს და სხვა. მუშები ზოგი ფეხზე მდგომი მუშაობს, ზოგი—დამჯდარი და ზოგიც კიდევ —პირალმა დაწოლილი კარიდორების სიდაბლის და სივიწროვის გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბა, წარმოიდგინეთ, ყმაწვილებო, იმ მუშების მდგომარეობა, რომელნიც მთელ თავის სიცოცხლეს მაღაროებში ატარებენ, შეხუთულ ჰაერში, აუტანელ სიცხეში და ბნელაში მუშაობენ. ყოველ მათგანს თითო პატარა ფარანი აქვს სარტყელზე მიკრული, რომ ცოტა სინათლე მაინც ჰქონდეს მუშაობის დროს. ამას ისიც დაუმატეთ, თუ რამდენი უბედური შემთხვევა მოელის ამ საცოდავებს იქ: ხან მიწა ჩამოენგრევათ და ნანგრევ მიწის ქვეშ მრავალი მათგანი მოჰყვება, ხან წყალი მოვარდება უეცრად რომელიმე დერეფნიდან და ბევრი მათგანი თავს ვერ შველიან და შიგ იხრჩობიან, ხან კიდევ სხვა-და-სხვა გაზები, რომელიც უხვად არის მაღაროებში შეგროვილი, იფეთქებს რამე მიზეზის გამო და ახლო მდგომი მუშები იღუპებიან ან და დასახიჩრდებიან და ბევრი კიდევ სხვა. რამდენიმე წლის ბნელაში მუშაობის გამო მათ თვალები უფუჭდებათ და მაღლა, მზის სინათლეში ველარაფერს ხედავენ.

გარდა იმისა, რომ ქვა-ნახშირი შეშის მაგიერობას ასრულებს, ის სხვა რიგათაც დიდი სასარგებლოა, რადგანაც მისგან სხვა-და სხვა საჭირო ნივთიერებას ამზადებენ. სხვათა შორის იმისგან ამზადებენ სანათებელ ნივთიერებას. ყოველ მხრივ დახურულ ჭურჭელში რომ დამტვრეული ქვა-ნახშირი ჩავყაროთ და ჭურჭელს მხოლოდ ერთი პატარა ნახვრეტი დაუტოვოთ და მერმეთ ეს ჭურჭელი ცეცხლზე ძალიან გავახუროთ, გახურდება, რასაკვირველია, ჭურჭელში ჩაყრილი ქვა-ნახშირიც, მაშინ დატოვებული ნახვრეტიდან გამოვა გაზი, რომელსაც მანათობელი თვისება აქვს და ამიტომაც მას **მანათობელ გაზს** უწოდებენ. ის მშვენიერად ანათებს და დიდ სინათლესაც იძლევა. ამიტომაც ამ გაზით ხშირად დიდ ქალაქებში ქუჩებს და სადგომებს ანათებენ. მაგრამ, სანამ ამ გაზს წყალში არ გაატარებენ, მანამ არ ხმარობენ სანათებლად, რადგანაც ბევრი ჭვარტლი იცის და სუნიც ცუდი აქვს. წყალში როცა გაატარებენ, მას მოშორდება და წყალში რჩება **გაზის ფისი** და **ქვა-ნახშირის კუპრი**. წყლიდან გამოსული გაზი სუფთაა და სანათებლად მზად არის. წყალში

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩენილი ნივთიერებაც ტყვილად არ იკარგება. გაზის ფისს წყალს აშორებენ, ქვიშას უმატებენ და ამგვარად მისგან ამზადებენ **ასვალტს**, რომელსაც ტროტუარების გასაკეთებლათ ხმარობენ დიდ ქალაქებში. ქვა-ნახშირის კუპრიდგან კი **ბენზინს**, კარბოლის სიმჟავეს, ნაფტალინს, პარაფინს და სხ. ამზადებენ.

ე. ჭ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„კიბუნ-დეიზინ“

ამბავი იაპონელი ბავშვისა, რომელმაც მოინდომა პირველი ვაჭარი გამხდარიყო იაპონიაში.

მოთხრობა ჯენზეი მურაისა.

V. ქვებით ომი — შეშინებული მაიმუნები

ეს ღამე ბუნკიჩიმ ბაკში გაათენა. დილა-ადრიანათ ადგა, ჩაიცვა და საჩქაროთ გაუდგა გზას ხამიკაიდოსაკენ. ბევრი სიარულის შემდეგ მიაღწია ერთს უდაბურ ადგილამდის და ამ არე-მარეში შენიშნა ერთი მთლათ დაძინებული და დავრდომილი კაცი, რომელიც როგორც ეტყობოდა, თავის ჩამოხრჩობას აპირებდა. ბუნკიჩიმ მარდათ მიირბინა მასთან. მოჰკიდა ხელი და დაუწყო გამოკითხვა, თუ იგი რამ აიძულა ამისთანა საქმე ჩაიდინოს.

— მე მეზღვაური ვარ; სახელათ კიბიდაუ მქვიან. იზუმის მხრიდანა ვარ, საკაიის მცხოვრები, — უპასუხა თვალ-ცრემლიანმა კაცმა, — მე მქონდა ჩაბარებული საკითი *) დატვირთული ათას კოკუანი გემი. სწორეთ იედოსთან საშინელმა ზღვის ღელვამ მიფშვნიტ-მოფშვნიტა ჩემი გემი, მთელი ბარგი და ამასთან 18 მეზღვაური ჩანთქა ზღვის ტალღამ. მე კი რაღაც განგებით გადავრჩი, მაგრამ ვაი ამ გადარჩენას. ისე ვარ დაუძლურებული, რომ განძრევაც კი მეძნელება. ამის გარდა, ამ ზარალით ისე დამცირებულათა და შერცხვენილათ ვგრძნობ თავსა, რომ აქ სიკვდილი მირჩევნია, ჩემს სამშობლო ქალაქში დაბრუნებას.

---

*) საკს იაპონიაში ეძახიან ბრინჯიდან გამოხდილ არაკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუნკიჩიმ დიდის ყურადღებით მოისმინა გემის დაღუპვის ამბავი; მერე აათვალ-ჩაათვარიელა იგი და შენიშნა მის ტანზედ რამდენიმე დალურჯებული ადგილი და ამითი დარწმუნდა, რომ ყოველივე ნალაპარაკი მეზღვაურისა მართალი იყო.

— თქვენი მდგომარეობა მე ძალიან მაწუხებს, ბატონო ჩემო, მაგრამ ამას კი გეტყვით, რომ მაგ-გვარი სასოწარკვეთილებით ზარალს ვერ იზღავთ. ისევ ისე გირჩევნიათ სიცოცხლე შეინარჩუნო, ეცადო და თქვენი მხნეობით საქმე ისე მოაგვაროთ. მაგრამ თქვენ უფულოთ არ შეგიძლიათ ექიმთან წახვიდეთ და ამისთვისა გთხოვთ, ნება მომცეთ... ამოიღო ჯიბიდან ვერცხლის ფული და ჩაუდო მეზღვაურს ხელში და თანაც ალერსიანათ უთხრა: „აი ფული და ახლავე წადით ექიმთან, ჩემო კარგო!

კაპიტანმა გაკვირვებით დაუწყო ბუნკიჩს ცქერა და მერე კრძალვით ეს მოახერხა: თუმცა თქვენ ჯერ ახალგაზდა ხართ, მაგრამ ამ ხანშიაც, არ მგონია, თქვენზედ უკეთესი ადამიანი თუ მოიძებნება. სანამ პირში სული მიდგას, თქვენ ვერ დაგივიწყებთ და თქვენს პატივისცემას როდისმე გადავიხდი.

ამ სიტყვებზედ საცოდავს თვალზე ცრემლი მოერია. ბუნკიჩიმ მოიხსნა თავისი ხაორი *) და მისთავაზა მას ამ სიტყვებითა:

— თუმცა ეს ტანისამოსი თქვენთვის მოკლეა, მაგრამ არა უშავს-რა—ჩაიცვით და წამომყეთ იმ ადგილამდის, სადაც მე მივდივარ.

მეზღვაურს ცოტა არ იყოს ეძნელებოდა ამ წინადადების მიღება, მაგრამ ბუნკიჩი არ მოეშვა და წაიყვანა ერთს სოფელში, სადაც ბაკი ნახეს და შევიდენ შიგ. აქ ყმაწვილმა უყიდა ტანისამოსი და ბაკის ბატრონ დედაბერსაც უამბო ყოველივე თავგადასავალი ამ მეზღვაურისა და თან სთხოვა: ჩქარა ექიმი მოეყვანათ. ექიმიც მალე მოვიდა და შესაფერი განკარგულება მოახდინა ამ უბედური კაცის მოსარჩენათ.

---

*) ხაორი—იაპონური ზედ ჩასაცმელი, პალტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაპიტანი დაეკითხა თუ სად შეიძლება მისი ნახვა. ბუნკიჩიმ უპასუხა:

— მე არა მაქვს საკუთარი სახლი, მაგრამ თუ ჩემი ნახვა გინდათ, შეგიძლიანთ მომიკითხოთ დაიკოკუაში, კუმანოს ტანისამოსის მაღაზიაში. თქვენ, როგორც მეზღვაური, იქ ბევრს სამუშაოს იშოვნით. მომმართეთ მე. ეხლა კი მეჩქარება და დიდხან აქ არ შემიძლიან დარჩენა. ოსაკიდან რომ დავბრუნდები კიდევ შემოვირბენ თქვენ სანახავათ. მაგრამ ჩემს მოსვლამდის თუ კარგათ შეიქნებით, სჯობია წახვიდეთ კუმანოში და იქ მომიცადოთ.

ასე ალერსიანათ მოექცა ბუნკიჩი მეზღვაურს და ამასთანავე დედაბერს, რომელსაც კარგა ბლომათ მისცა ფული ამ მეზღვაურის მოვლისათვის და საჩქაროთ გაუდგა გზასა. ბუნკიჩის დროს დაკარგვა არ უყვარდა და ერთ სასტუმროდან მეორეში გადადიოდა და ბოლოს, როგორც იყო, სატახტო ქალაქ ოსაკს მიაღწია. ოსაკში სცხოვრობდა ერთი ცნობილი ვაჭარი, რომელსაც დაიკოკუას სავაჭრო სახლთან აღებ-მიცემლობა ჰქონდა და გამართული და სწორეთ ამ ვაჭართან მივიდა ბუნკიჩი და ყოველივე სავაჭრო ამას შეუკვეთა და თან თავისი პატრონისაგან მოწერილი წერილიც გადასცა. ვაჭარმა ამოიკითხა ამ წერილში ვანიზამის მოკვლის ამბავი და აღტაცებული ამ ამბით, ყოველივე ღონე იღონა, რომ დიდი დახმარება გაეწია ამ საკვირველი ყმაწვილისათვის. როდესაც ბუნკიჩიმ ყოველივე ნაყიდი გემით გაგზავნა კუმანოში, დანარჩენი დრო ქალაქის დათვალიერებას მოანდომა და იმის დაკვირვებას თუ წარჩინებული ვაჭრები როგორ აწარმოებდენ საქმეს. ბუნკიჩიმ ოთხიხუთი დღე დაჰყო ქალაქში და მერე იმავე გზით გასწია შინისაკენ და გზათ—თანახმა დაპირებისა, შეიარა იმ ბაკში, სადაც ავათმყოფი კაპიტანი ეგულებოდა. ბუნკიჩის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კაპიტანი კარგათ ნახა. კიდევ რამდენიმე ფული დაუტოვა და შემდეგ გასწია კუმანოსაკენ.

მეზღვაურს გამოესალმა ბუნკიჩი და შეუდგა ერთს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართს; ამ არე-მარეს თვალს ვერ მოაშორებდა კაცი. ყოველი ფერდობები ფორთოხალის ჭალებით იყო მოფენილი. ბუნკიჩი მიდიოდა ჭალა-ჭალა, როდესაც მას რაღაც ყვირილი შემოესმა და ტკაცა ტკუცი. ბუნკიჩი გაექანა იქითკენ და რა დაინახა? — აუარებელი რიცხვი მაიმუნებისა შემოჰხვეოდა სამს კაცს და სეტყვასებ ქვებს აყრიდა. უბედურებს წინააღმდეგობა ველარ გაეწიათ. თავებზედ ხაორი წაეხურათ, ფორთოხლის ჩირგვებში მიკუნჭულიყვენ და რაც ძალი და ღონე ჰქონდათ ყვიროდენ და კიოდენ. მაიმუნებს ეს ძალიან ახალისებდათ; იგინი განუწყვეტლივ ისროდენ ქვებსა და შეჩერდებოდენ ხოლმე მხოლოთ მაშინ, როდესაც ხელ-ახლათ ქვების აღება მოუნდებოდათ. ბუნკიჩი რომ არ შესწრებოდა, ესენი უეჭველათ მაიმუნების მსხვერპლათ გახდებოდენ. როდესაც ბუნკიჩიმ შეატყო რაშიაც იყო საქმე მოკრიფა ამანაც ქვა, უბეში და წინა ჯიბეში ჩაილაგა. ამგვარათ დაიარაღებულ ბუნკიჩიმ შეუტია მაიმუნების ჯარს და დაუშინა ხან უბიდან და ხან ჯიბიდან ამოღებული ქვები. მაიმუნებმაც იერიში

მიიტანეს ჭაბუკზე და რა შენიშნეს, რომ ყმაწვილი გულიდან ქვებს იღებდა, ამათაც მოინდომეს ამისი მიბაძვა, ამათ, რასაკვირველია, არც უბე ექნებოდათ და არც ჯიბე და ბუნკიჩის კი ყველაფერი ხელს უმართავდა. ბუნკიჩი როდესაც უბიდან ამოიღებდა ქვას, მაიმუნებიც იძიძგნიდენ გულს და ბეწვებს ისროდენ ბუნკიჩისაკენა და ტკივილებისაგან ვაი-უშველებელი გაჰქონდათ.

ბუნკიჩის სიცილი ვერ შეეკავებინა, ისეთი სასაცილო ნი იყვენ მაიმუნები იმ წუთს. ამათ სრულიათ მიატოვეს ის სამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცი და ბეწვების გლეჯით გაექანენ ყმაწვილისაკენ. კაცები ჯაგებიდან გამოძვრენ და ამათაც დაუშინეს ქვები თავიანთ მტრებს.

ყმაწვილმა შენიშნა თუ არა ეს, ხმა მაღლა დაუძახა:

— ნუ შვრებით მაგას, ქვებს ნუ აგროვებთ! თუ შეგიძლიათ, მოახერხეთ და ცეცხლი წაუკიდეთ ხმელ ბალახს.

ამათაც შეასრულეს ეს განკარგულება: კომლი და ალი მოედო დედამიწას. მაიმუნებს თავზარი დაეცათ, დაიწყეს კბილების კრაჭუნი და ერთი ხიდან მეორე ხეზე ხტუნაობა.

მამა-კაცები ეხლა კი სრულიათ გამოერკვენ შიშის ზარისაგან და ბუნკიჩის მადლობით მიმართეს:

— უღრმეს მადლობას გიძღვნით, ყმაწვილო! თქვენ რომ არ შეგვსწრებოდით, ახლა ჩვენ ქვებით ვიქნებოდით ჩაქოლილი.

— მართალსა ბრძანებთ—თქვენი სიცოცხლე ერთ ბეწვზე ეკიდა,—მიუგო ბუნკიჩიმ,—მაგრამ მე ერთი ეს უნდა გავიგო, პირველათ თქვენ ხომ არ დაიწყეთ ქვების სროლა?

— დიახ, ჩვენ დავიწყეთ,—გაოცებული უპასუხეს ამათ.

ბუნკიჩიმ გაიღიმა ამ საქციელზედ და უთხრა:

— თქვენ ეს როგორ არ გაგახსენდათ, რომ მაიმუნები ყველაფერში კაცსა ბაძამენ ხოლმე.

— თქვენ, როგორც გატყობთ, ყველაფერი კარგათ გცოდნიათ, სადაური ბრძანდებით თქვენ?

— მე ვცხოვრობ კუმანოში,—უპასუხა ბუნკიჩიმ,—მხოლოთ კადა-ნო-ურაში ვარ დაბადებული და აღზრდილი. იქ ბევრი მაიმუნები არიან და ამისთვის კარგათ ვიცი მათი ზნე და ჩვეულება.

მაშინ ერთმა—ამ სამში უფროსმა—სთხოვა ბუნკიჩის:

— მე ამ ფოლოთოხალის ფერმის პატრონი ვარ, ჩემი სახლი აქედან შორს არ არის და გთხოვთ ჩემთან შემოიაროთ.

გზაზე ფერმერმა დაუწყო გამოკითხვა—თუ რა ჰქვიან ამას და სად არის ამის სახლი.

— მე ბუნკიჩი მქვიან, დაიკოკუის ხავაჭრო სახლში ვცხოვრობ, კუმანოში,—გულწრფელათ უპასუხა ყმაწვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერმერმა გაშტერებით ყმაწვილს დაუწყო ცქერა და უთხრა:

— განა არა—მე ვფიქრობდი, რომ თქვენ სადღაც მინახივიხართ, მაშ თქვენ ის გამოჩენილი ვანიზამ-კოზო-ყმაწვილი ხართ, რომელმაც ნათელ-თევზა მოჰკლა? ამ მხრის მცხოვრებლები თქვენს ამაგს თავის დღეში არ დაივიწყებენ, რადგანაც ტოკიოში და ოსაკაში გასაგზავნ ფორთოხალს ნათელ-თევზას შიშით კუმანო-ურაში გზავნიდენ ხოლმე; იქ აწყობდენ გემებზე და იქიდან ამ სატახტო ქალაქებში მიჰქონდათ, გაჩნდა თუ არა ეს საეერანო არსება ზღვაში, ვაჭრობა სრულიად შეჩერდა და თქვენი მამაცობის შემდეგ კი ყოველი უბედურება თავიდან აგვცილდა.

ბუნკიჩიმ ორიოდ საათი დაჰყო ამათთან და შემდეგ წასვლა დააპირა. ფერმერმა იგი შეაჩერა, გამოუტანა ერთი ბღუჯა ფული და სთხოვა, ნიშნათ მადლობისა, ეს ფული მიეღო მას.

ბუნკიჩიმ ფულს არც კი დაჰხედა და ისე ცივი უარი მოახსენა:

— თქვენ სრულიათაც მადლობას არ უნდა მიხდიდეთ,— უთხრა ყმაწვილმა,—რაც უნდა იყვეს მე მაგ ფულს ხელს არ მოვკიდებ და თუ მაინცა და მაინც არ მომეშვებით, თუ თქვენი ნებაც იქნება, ერთი სათხოვარი უნდა შემისრულოთ. ამ მოკლე ხანში მე თვითონ მინდა ვაჭრობა დავიწყო სხვადა-სხვა საგნებითა და, თუ ვინიცობაა, დამჭირდება აქ მოსვლა და ფორთოხალის ყიდვა, შემეძლება თუ არა თქვენთან საქმის დაჭერა?

— თქვენი სურვილი სულ ადვილი ასასრულებელია,— უპასუხა ფერმის პატრონმა,—მე დიდი სიამოვნებით თანახმა ვარ. თქვენგან მომივა თუ არა დავალება, მე ვეცდები, რაც შეიძლება იაფათ დაგისოთ ეს საქონელი; რაც შეეხება ფულს —მე არ შეგაწუხებთ, როცა მოახერხოთ, მაშინ მომეცით. მე ჩემი ფერმიდან შემიძლიან ოცდა ათი ათასი ფორთოხალი ჩაგაბაროთ; ჩემს გარდა აქ კიდევ სხვა ფერმერებიც არიან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლებიც გაიგებენ თუ არა, რომ თქვენ ვანიზამ-კოზო ბრძანდებით, სიამოვნებით დაიწყებენ თქვენთან ვაჭრობას. დამერწმუნეთ, რომ თქვენს დავალებას, რაც უნდა მძიმე დავალება იყოს, შევასრულებ.

ბუნკიჩიმ დიდი მადლობა გადაუხადა მასპინძელს და იმავე საღამოს დაბრუნდა დაიკოკუაში.

ალ. ნათაძე.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდნის გამარჯვება.



ყოველგან რომ ცოდნა გავრცელდეს და ყოველმა ადამიანმა რომ ისარგებლოს იმის ნაყოფით, საჭიროა განათლება და არა მხოლოთ ეკონომიურობისათვის, არამედ ყოველი ადამიანისათვის. საჭიროა ყოველგან იყოს სკოლები. ევროპის მოწინავე ქვეყნებში, ამერიკაში და ზოგიერთ ინგლისის ახალშენებში შემოღებულია საყოველთაო სწავლა. ბავშვს, რა გინდ შეძლებისა იყოს მისი დედ-მამა, შეუძლია იაროს სკოლაში, რომელშიაც სწავლა უფასოა. სახელმწიფო არა თუ აძლევს მას საშუალებას ისწავლოს, არამედ ავალებს; უსწავლელი ადამიანი ავნებს არა მარტო თავის თავს, არამედ სახელმწიფოსაც, რომლის შვილია იგი. და აი ამიტომ სახელმწიფო აძალებს ყოველ დედ-მამას გზავნოს თავისი შვილი სკოლაში 6—10 წლამდე.

რადგანაც განათლებას ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებაში, სახელმწიფო ცდილობს გაანვითაროს იგი, და არ ზოგავს ამისათვის ფულებს. არა ნაკლებ ცდილობენ მის გავრცელებისათვის სხვა და სხვა ქალაქების და სოფლების საზოგადოებები. ამერიკაში სწავლა-განათლებისათვის იხარჯება ერთი მესამედი მთელი სახელმწიფო ხარჯისა, თითო მცხოვრებზე ექვსი მანეთი, როდესაც რუსეთში ეს ხარჯი უდრის მხოლოდ რვა კაპეიკს თითო სულზე.

ამერიკაში სავალდებულოა გაიხსნას სკოლა ყოველ ისეთ ადგილას, სადაც ოცამდე ბავშვი შეიკრიბება. ამერიკელი მემამულენი ცხოვრობენ ხშირად ერთმანეთისაგან შორს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიტომ ყოველ დილა ვეებერთელა ეტლი ჩამოივლის და მოჰკრეფს ბავშვებს, რომ სკოლაში წაიყვანოს. სწავლის გათავების შემდეგ მეეტლე ისევ ჩამოარიგებს ყოველ ოჯახში ყმაწვილებს.

ყველას რომ უფრო გაუადვილდეს სწავლა, სახელმწიფო იხდის არა მარტო სწავლის ფულს, ის აძლევს ყმაწვილებს სასწავლო ნივთებს, წიგნებს; ძლიერ ღარიბ მოწაფეებს ტანსაცმელსაც კი აწოდებს. ამერიკელი სკოლა ულებს კარებს ყველა პატარა მოქალაქეებს.

სასწავლებლის შენობისათვის ამერიკელები არ ზოგავენ ფულებს და ამაყობენ თავიანთი „სასახლეებით". ეს სასახლეები მშვენიერათ არიან გარედან და აგრეთვე შიგნიდანაც მოწყობილნი. სულ პატარა ქალაქში ნახავთ სკოლებს, რომლის აშენებაც ღირს ორას ათას მანეთზე მეტი. „ასეთ სასახლეს ინატრებდა თვით ხელმწიფეც",—ამბობს ერთი მოგზაური

წარმოიდგინეთ, ღატაკი ბავშვი, რა ბედნიერი უნდა იყოს ასეთ სასახლეში. ამას-გარდა ნოტიო და ბნელ სარდაფისა არა უნახავს რა

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ევროპის მოწინავე ქვეყნებში სახალხო სკოლას. ინგლისში, გერმანიაში, საფრანგეთში, პატარა შვეიცარიაში, ბელგიაში იხარჯება უთვალავი ფული სახალხო განათლებაზე. პატარა შვეიცარია, რომელიც სიდიდით უდრის მარტო ერთ რუსეთის გუბერნიას ხარჯავს, ყოველ წელიწადს სკოლებზე, მეტს ვიდრე მთელი რუსეთი ამავე საგანზე. შვეიცარიელებს უყვართ თავისი სკოლები. თავი მოსწონთ კარგი წიგნებით, სკოლის კარგი მოწყობილობით. სკოლები შეიარაღებულია ყოველისფერით რაც საჭიროა: იქ ნახავთ მშვენიერ კოლექციებს, ქვებისას, მცენარეებისას, მშვენივრად მოწყობილ ლაბორატორიებს, რუქებს, სურათებს. ასეთი მოწყობილება უადვილებს ყმაწვილებს სწავლას.

ხუთი, ექვსი წლიდან პატარა მოქალაქე იწყებს სკოლაში სიარულს და დადის 12, 14 წლამდე. ამ ხნის განმავლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაში ის ბევრ რასმეს შეისწავლის, ბევრს შეიძენს. სკოლა მარტო წერა-კითხვას კი არ ასწავლის, არა,—ის აცნობებს მას ცხოვრებას, მის კანონებს, სხვა და სხვა ქვეყნებს, მათ მცხოვრებლებს, თუ რა მმართველობაა იმ ქვეყნებში, რა კანონმდებლობაა.

სკოლა მარტო ცოდნას კი არ აძლევს,—ის ანვითარებს ადამიანს, უფართოვებს მას შორს მჭვრეტელობას. ყმაწვილი გამოდის სკოლიდან არა მარტო ცოდნით შეიარაღებული, არა,—მას ნიჭიც გახსნილი აქვს, გონებაც. ამ იარაღით ის ცხოვრებაში არაფერს არ შეუშინდება, ის გაუადვილებს მას ყოველნაირ შრომას და წინამდებარე საქმეს. აი ამიტომ ერთი ბელგიელი მუშა აკეთებს დღეში იმდენს რამდენსაც სამი რუსი მუშა გააკეთებს.

რუსეთში ერთი მუშა ძლივს ყურს ადევნებს ორ სართავ-მანქანას, ინგლისში კი ერთ მუშას აბარია 4, 6 ასეთივე მანქანა.

უცხოელი მუშის სიმარდე და მოხერხება აიხსნება იმ გონების განვითარებით, რომელიც მას გამოაქვს სკოლიდან, აი რატომ მექარხნეები უპირატესობას აძლევენ ისეთ მუშებს, რომელმაც წერაკითხვა იციან, და ასეთ მუშებს უფრო ძნელ საქმეს ავალებენ. მცოდნე მუშა უფრო ჩქარა მუშაობს, უფრო მეტსაც შოულობს. და ყოველ დარგში მოგებული რჩება ის, ვისაც უსწავლია.

ერთი მწერალი ტყუილად კი არ ამბობს: ჩვენ დროში იმის გამოსაცნობად ძლიერია თუ არა რომელიმე ქვეყანა, საჭირო არ არის დავთვალოთ მისი მცხოვრებნი, არა საჭიროა მხოლოდ ვნახოთ სწავლა-განათლების წინმსვლელობა. ამ წინმსვლელობაზე დამოკიდებულია ხალხის ძალა, ძალა როგორც სამხედრო, აგრეთვე ეკონომიური და მორალური.

„თუ ჩვენი ქვეყანა ასეთი ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ, მადლობა უნდა უთხრას ჩვენ სკოლას“, ამბობს ერთი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე. სხვა მოწინავე ქვეყნებზედაც ხომ ასე ითქმის.

მარტო სახალხო სკოლა არ დააკმაყოფილებს და არ მის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემს სავსებით ცოდნას ადამიანს; სახალხო სკოლა აძლევს მხოლოდ დაწყებითი ცოდნას. ეს მარტო საძირკველია იმ განათლებისა, რომელსაც ადამიანი მიიღებს სხვა სკოლებში. ზოგიერთ ქვეყნებში არა მარტო სახალხო სკოლის გათავება არის საკმარისი, არა,—მოქალაქემ უნდა დაამთავროს ეგრეთ წოდებული საზოგადო სკოლა, სადაც უნდა დაჰყოს 16—17 წლამდე.

ამერიკელ სკოლაში ბიბლიოთეკის გარდა ნახავთ ფიზიკურ კაბინეტს, ლაბორატორიას, ზოოლოგიურ კაბინეთს, სხვა და სხვა კოლექციებს. იქვე იმყოფება გეოლოგიური კაბინეთი, სადაც მოთავსებულია 2000 ნიმუში სხვა და სხვა ქვებისა და მადნეულობისა. ბავშვი სკოლაში რჩება არა მეტს 2—3 საათზე დღეში. ეს იმისათვის რომ ღარიბ მოწაფეებს დრო ჰქონდეთ იმუშავონ სხვაგან სადმე და საცხოვრებლათ სახსარი იშოვნონ. ზემოთაც ვთქვით, რომ სწავლაში ფულს არავინ არ იხდის.

საკვირაო სკოლებსაც დიდი სარგებლობა მოაქვთ სწავლა განათლების გავრცელებაში. ეს სკოლები იმდენ ცოდნას აძლევენ, რომ მუშას, რომელმაც ეს სკოლა დაამთავრა თავისუფლად შეუძლია შევიდეს უნივერსიტეტში. ეს საკვირაო და საღამოს კურსები იზიდავენ არა მარტო მუშა-ახალგაზდობას, იქ ხშირად ნახავთ ხანში შესულ პირებს. ასეთ კურსებზე კითხულობენ ისტორიას, ბუნების მეტყველობას, კანონმდებლობას, პოლიტიკურ ეკონომიას. არის ისეთი კურსები, რომელნიც მსმენელებს აძლევენ პრაქტიკულ ცნობებს. დახელოვნებული სპეციალისტები იქ უხსნიან მაშინების თეორიას, მათ აგებას, ღვინის კეთებას, ქსოვას. ღებვას, ასეთი კურსები ძლიერ კარგად დაყენებულია საფრანგეთში და ბევრი მსმენელებიც ჰყავს, მაგალითათ არის ისეთი კურსები, სადაც 10 და 15 ათასი მსმენელია.

მაგრამ არა მარტო მუშა სწავლობს და სარგებლობს ასეთი პრაქტიკული, საჭირო ცნობებით. სეხელმწიფო სოფლის მცხოვრებლებზედაც ბევრს ზრუნავს. გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, შეერთებულ შტატებში დაარსებულია „მოძრავი“ სკოლები სამეურნეო ცნობების გასავრცელებლად. სოფლიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელში დადის მცოდნე და მჭერმეტყველი მასწავლებელი— აგრონომი. ის ყველგან უხსნის გლეხებს თუ რა მნიშვნელობა აქვს მათ ცხოვრებაში ცოდნას და განსაკუთრებით მეურნეობის ცოდნას. ბევრი მსმენელი იყრის თავს ასეთ „მჭადაგებელთან“. მათ ქადაგებაზე ათზე უფრო მოქმედებს გაშენებული გამოსაცდელათ ზვარები და მინდვრები. ამ მინდორზე სთესვენ რაიმე ისეთ მცენარეს, რომლის სარგებლობა და საჭიროება უნდათ დაუმტკიცონ სოფლის მცხოვრებს. ესენი ნათლად ხედავენ თუ რა ნიადაგი, რა მოვლაა საჭირო ამ მცენარისათვის.

მე მინახავს ასეთი მასწავლებელი, სწერს ერთი მეცნიერი, რომელიც ლაპარაკობდა იმაზე თუ რამდენად სასარგებლოა მიწის განოყიერება მინერალური სასუქით, და რა დიდი მოსავალია, როდესაც აგრე გაპოხიერებულ ნიადაგზე დაითესება არჩეული თესლი. მასწავლებელი ლაპარაკობდა მდაბიო ენით, ისე ადვილად და მისახვედრად, რომ ჩემმა შვილმა სტუდენტმა, რომელმაც სულ ცოტათი იცოდა იტალიანური ენა ყველაფერი გაიგო. დარბაზი სადაც კითხულობდენ პატარა იყო და ყველას ვერ იტევდა, ფანჯრები დაღებული იყო და იქიდან შემოეყოთ თავი გარეთ დარჩენილ გლეხებს. მცოდნე და თავის საქმის მოსიყვარულე მასწავლებელი მალე იხვეჭს სახელს მთელს ოლქში. მას იწვევენ ერთ სოფლიდან მეორეში. ქალაქში, როდესაც გლეხები ჩამოდიან ბაზრობაზე, მის ბინაზე იყრიან თავს, რადგან ესაჭიროებათ კითხვა, დარიგება. ბევრ ასეთ მასწავლებლებს წერილებითაც ეკითხებიან.

ამ რიგათ სამეურნეო სკოლას დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის ცხოვრებაში და მის გაუმჯობესობაში.

ახლა უნივერსიტეტშიაც გაუადვილდათ სწავლა უბრალო ხალხს ინგლისში, სადაც უწინდელ დროში უნიკერსიტეტი იყო მარტო არჩეული მდიდარ პირთათვის, ჩვენ დროში სწავლობენ ისეთი პირები, რომელთაც ნიჭის მეტი არა აბადიათრა. უნივერსიტეტი მათ ანთავისუფლებს ფულის გადახდისაგან, ამ პირებს ეძლევათ პირ-იქით შემწეობა.

ამერიკაში სტუდენტები ფულს არ იხდიან. მაგრამ ფული მათ ხომ მარტო უნივერსიტეტისათვის არ ეჭირებათ. მათ ჩაცმაც უნდათ, სახლის ქირაც, წიგნის ფულიც. ღარიბი სტუდენტი თავისუფალ დროს, მუშაობს, ის არაფრის მუშაობას არ შეუშინდება: შედის მოსამსახურეთ რესტორანში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან მეჯინიბეთ, ან კიდევ მეშეშეთ. ხშირათ ნახავთ სტუდენტს, რომელიც ფანჯრების მინებს რეცხავს და ამითი ცხოვრობს.

ყველა, ვისაც სწყურია უმაღლესი განათლება და უნივერსიტეტში კი ვერა პოულობს ადგილს, იმათ დასაკმაყოფილებლათ ამერიკაში და სხვა ქვეყნებში მიჰყავთ პროფესორები და ისინი კითხულობენ ლექციებს. მათ სურთ „მიიყვანონ უნივერსიტეტი იმ პირებთან, რომელთაც თვითონ არ შეუძლიათ მიუახლოვდენ მას. კურსები ძლიერ გავრცელებულია ინგლისში და 80,000 მეტი მსმენელი ჰყავთ. ზაფხულობით, როდესაც უნივერსიტეტში აღარ დადიან ჩვეულებრივი მსმენელები, უნივერსიტეტი ფართოდ უღებს კარებს ამ კურსების მოტრფიალეთ. გამოჩენილი პროფესორები უკითხავენ ლექციებს მემაღაროებს, ნოქრებს, სახალხო სკოლის მასწავლებლებს,—ყველას, ვისას სწყურიან ცოდნის შეძენა და სურთ ისარგებლონ მდიდარი წიგნთ-საწყობებით, მუზეუმებით, ლაბორატორიებით—რომლითაც მდიდარია უნივერსიტეტი.

შ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარჩევი

1908 წლის ჟურნალ „ჯეჯილისა“.

პატარების განყოფილება.

ლექსები:

		№	გვერდი
მურა და ეფრე, თ. რაზიკაშვილისა		I	3
ჩიტი—ეთერი, რაზიკაშვილისა		IV	3
პატარა თამრო ქოჩოსი		VI	3
ნეტარ ხსენებულ ილია ჭავჭავაძის ხსოვნას		VII—VIII	3
პატარა კოლას ოცნება, ბ.		—	— 41
ჩიტი გალიაში, აკაკისა		X—XI	6
გაზაფხული, მისივე		—	7
მზე და მთვარე, აკაკისა		XII	3

მოთხრობები

(ორიგინალური და ნათარგმნი)

თაგვის გამჭრიახობა (ფრანგულით)	I	5
მოწითანო ძაღლი (თარგ. ჟურავსკიდან) ანიკოსი	—	6
ჩემ სიტყვას ვერ გავტეხ! (ფრანგულიდან) ტასოსი	—	8
პატარა ლირსა, ამბავი ფ—სი	—	15
ტურები და სპილო (რუსულით) ტასოსი	II	3
მიჩვევა (რუსულით) ბესარიონ ვაშაძესი	—	5
მოხერხებაც ასეთი უნდა! (ფრანგულით)	—	6
ბეკეკები და მელიის ამბავი, თ. რაზიკაშვილისა	—	8
ახალი დროის ყვავი, თარგმანი ტასოსი	III	3
აქლემი (თარგმანი) ტასოსი	IV	3
რამდენი წლისა ხარ? (თარგმანი) მღვდ. ბეს. ვაშაძესი	—	4
ოლლას გამარჯვება, ფრანგულით, ეკ. მ—სა	—	6
ბებერი ბატი (რუსულით)	V	3
ლიზეტა და არისტო	—	4
ყარყატოს თავგაწირვა (რუსულით), ტასოსი	—	5
მსაჯული და მაწანწალა (ინგლისური ამბავი) ან. წერეთლისა	—	20

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარის მაშინა (ბავშური მოგონება) ნინო ენუქიძისა . . . VI 6
საავათმყოფოში (ფრანგულით) ეკ. მ—სა . . . . . — 10
კვეხარა თავცეცხლა, ამბავი, თეოდოროვ-დავიდოვისა, თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . — 21
ხმა ქვესკნელიდან (მენახშირეს ნაამბობი) . . . . . VII—VIII 6
მონტო კრისტო, ამბავი ლევ. ლევ. ტოლსტოისა, თარგმანი ან. წერეთლისა . . . . . — 10
«ერთად სჯობია» (ჟურავსკიდან) . . . . . — 33
უცნაური მსმენელები (ჟურავსკიდან) . . . . . — 34
მელიას მდევრები (იქიდანვე) . . . . . IX 3
პატარა მაიმუნი და ქათამი (იქიდანვე) . . . . . — 4
ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ჩურჩხელები, ეკ. გაბაშვილისა . — 5
ძმისაგან ნაანდერძევი ლურჯა (გერმანულ.) ალ. მიქაბერიძისა — 18
აკაკი წერეთლის იუბილეი! ეკ. გაბაშვილისა . . . . . X—XI 3
უდარდელი ცხოვრება . . . . . — 9
მომაკვდავი ფინიას ნაამბობი, ან. წერეთლისა . . . . . — 10
გამარჯვებული სპილო (ჟურავსკიდან) . . . . . — 13
კატის გულმტკივნეულობა . . . . . XII 6
ღმერთმა მომცა, საშობაო ამბავი, ან. წერეთლისა . . . . — 7
მაზრის მოსამართლე მიხეილი როგორ გახდა ცხოველების მეგობარი! საშობაო მოთხრობა. რუსულით, თარგმ. ი. ფერაძისა . . . . . — 17

ბუნების მეტყველებიდან.

დაღუპული ქალაქები, ალ. ფაღავასი . . . . . I 11
ამბები ზოოლოგიური ბაღში მცხოვრებლებისა, თეთრი დათვი, ვ. მიქაბერიძისა . . . . . — 26
საკვირველი ჰიები (რუსულით) ანიკოსი . . . . . II 26
III 14
ბუგული, ალ. ფ—სი . . . . . — 21
IV 17
ამბები ზოოლოგიურ ბაღში მცხოვრებლებისა. ლომი, ვ. მიქაბერიძისა . . . . . III 7
ქალალდის ნაამბობი (ფრანგულით) შურასი . . . . VII—VIII 26
ჰიაყელა და წერო, ა. ფ—სი . . . . . IX 28
რიკკი-ტიკკი-ტავი, კიპლინგის მოთხრობა, თარგმანი ელ. წერეთლისა . . . . . X—XI 24
XII 23

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგავები, ზღაპრები ჩვენი და უცხოეთისა.

სამართალიც ასეთი ენდა! ფრანგულით, ნ. აღნიაშვილისა . III 5
ჭკვიანი და გიჟი (სომხურიდან) ვასო ქაჟთარაძისა . . . . VI 12
ბატონი სეგენის თხა, ალფონს დოდესი, ფრანგულით, ელ. წერეთლისა . . . . . V 7
მიმინო და მამალი, ლევ. ტოლსტოისა . . . . . VI 5
ზარმაცების მომრჯულებელი, ჩაწერილი ნ. ენუქიძისაგან . VI 17
მოხუცებული კაცი და სიკვდილი, ლევ. ტოლსტოისა VII—VIII 4
ცხენი და მისი პატრონები, ლევ. ტოლსტოისა . . . . . — 5
მამისაგან მოძულებული შვილი, პ. მირიანაშვილის ჩაწერილი— 36
ზღაპარი, გ. წერეთლისა . . . . . IX 13
ნათელა, ზღაპარი, გერმანულით, ალ. მიქაბერიძისა . . X—XI 15

ბიოგრაფია.

პირუტყვთა შემბრალებელი (პრეზიდენტი როზველტი. ფრანგულით) ან. ამილახვრისა . . . . . V 17

კომედიები.

პეტრიკა მოიწამლა! კომედია ფრანგულით, ან. წერეთლისა III 26
ტყუილს ტყუილი მოსდევს, ფრანგულით, ან. წერეთლისა . V 30
VI 26
მგელი, თხა და ციკანი, ფრანგულით, ან. წერეთლისა VII—VIII 46

უფროსების განყოფილება.

ლექსები და პოემები.

დედა, იასამანისა . . . . . II 33
*** ლექსი. შ, მღვიმელისა . . . . . III 38
შაშვი, ლექსი, შ. მღვიმელისა . . . . . IX 35
ძვირფას აკაკის, შ. მღვიმელისა . . . . . X—XI 80
შეთვლილი, ლექსი, შიო მღვიმელისა . . . . . XII 35

მოთხრობები ორიგინალური და ნათარგმნი.

მონადირეს ნაამბობი (რუსულიდან) ან. წერეთლისა . . . I 38
უგულო ბავში (მონგომერისა) გაგრძელება, ელ. წერეთლისა I 53
II 48. III 51. IV 51

უნებლიეთი დანაშაული (სააღდგომო ამბავი) ეკ. გაბაშვილისა IV 29
V 37
კიბუნ-დეიზინ, მოთხრობა იაპონიის გამოჩენილ მწერლისა ჯენზეი მურაისა, ნათ. ალ. ნათაძესი (სურათებით) . VI 40
VII—VIII 62. IX 37. X—XI 61. XII 63
საჩინო გენძეხაძე, ივ. გომართლისა . . . . . X—XI 45
ამხანაგები, ივ. გომართლისა . . . . . XII 36

ბიოგრაფია ჩვენი და უცხოეთისა.

ლევ. ნიკოლოზის ძე ტოლსტოი (სურათით) ს. გორგაძე VII—VIII 56
ხსოვნას ვ. მ. პეტრიაშვილის და ივ. რ. თარხნიშვილისას . — 86
აკაკი წერეთელი (50 წ. იუბილეის გამო) ს. გორგაძესი . X—XI 35

სამეცნიერო სტატიები და ბუნების მეტყველებიდან.

საფრანგეთის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილება, ივ. გომართლისა . . . . . I 43
II 41. III 45. IV 59. V 48
ბუნების ლექსიკონი (მოკლე აღწერა ცხოველთა სამეფოსი) შედგეხილი ილ. ალხაზიშვილისაგან . . . . . I 1
II 9. III 16. IV 25, V 34. VI 41. VII—VIII 49. X—XI 57
შანქანა მეფეა და შროშა ფული, ა. ფ. . . . . II 57
III 59. IV 45. V 52. VII—VIII 80
ტორფი და ქვა-ნახშირი, ე. ჭ. . . . . VI 49
სახელმწიფო წყობილება ინგლისში ივ. გომართლისა . . . — 52
სახელმწიფო წოდება ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტა-ტებში, ივ. გომართლისა . . . . . VII—VIII 71
IX 46
ცოდნის გამარჯვება, შ. . . . . IX 54
X—XI 70. XII 70
გამოსადეგი ცოდნა (ნევსის ამბავი) წ. . . . . IX 61
ზღვის და ხმელეთის გრიგალი (სურათით) . . . . . X—XI 77
ქვა-ნახშირი, ე. ჭ. . . . . XII 58

ლეგენდები და ზღაპრები
(ჩვენი და უცხოეთისა)

ელის ქალი, ლეგენდა, ეკ. გაბაშვილისა . . . . . I 35
ხალხის სიბრძნე (ადამიანის წლოვანება) ლეგენდა, ლექსად, ილ. ალხაზიშვილისა . . . . . — 48

ჯიუტი თხა, მამინ სიბირიაკისა, თარგმ. ეკ. მესხისა . . . II 34
III 39. IV 41. V 43
როგორ გაჩნდა ღვინო, ლეგენდა ლექსათ, ილ. ალხაზიშვილისა IV 35
გვალვა, ლეგენდა ლექსათ, ილ. ალხაზიშვილისა . . . . . VI 35
VII—VIII 76
ვინ ყოფილა მოლაღური, ს. დათეშიძესი . . . . . IX 52
ყვავი (თქმულობა) თარგმანი ეკ. მესხისა . . . . . X—XI 56
XII 46

გასართობი, სახუმარო ამბები, ანდაზები, გამოცანები, შარადები და სხვა წვრილმანი მოთავსებულია წლის განმავლობაში ჯეჯილში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1909 წლის 1 იანვრიდანაც გამოვა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი ხმა.

იმავე პროგრამით, როგორც გამოდის.

გაზეთს ყავს საკუთარი კორესპონდენტები ევროპაში, სპარსეთში და სახელმწიფო დუმაში.

ფასი:

	1 წლით.	6 თვით.	3. თვით.	1. თვით.
თფილისში . .	7 მან.	4 მან.	2 მ. 20 კ.	80 კაპ.
ქალაქ გარეთ. .	7 მან.	4 მან.	2 მ. 50 კ.	90 კაპ.
საზღვარ გარეთ	10 მან.	5 მან.	3 მან.	1 მან:

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოთ თვის პირველ რიცხვიდან.

ცალკე ნომერი ყველგან 5 კაპ.

ხელისმოწერა მიიღება რედაქციის კანტორაში, „წერა კითხვის საზოგადოების“ მაღაზიაში—შ. ქუჩუკაშვილთან, ნაძალადევის, ავჭალის, ვერის და ავლაბრის ბიბლიოთეკებში.

რედაქციის ადრესი: თფილისი, ელისაბედის ქ., სახლი № 1.

Открыта подписка на 1909 годъ на газету

„ЗАКАВКАЗСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“

(ГОДЪ ВТОРОЙ)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

Съ доставкой въ Тифлисѣ:		Съ пересылкой въ другіе города:	
за годъ	6 р. — к.	за годъ	8 р. — к.
за полгода	3 р. 50 к.	за полгода	4 р. 50 к.

Помѣсячно повсюду 75 коп. Отдѣльныѣ №—5 коп. Заграницу вдвое. За перемѣну адреса городского на иногородній—1 р., съ иногородняго на иногородній—50 коп.

Адресъ редакціи: Тифлисъ, Эриванская площадь, д Гургенова, общій входъ съ конторой нотаріуса Мгеброва. Редакція открыта отъ 9-ти до 4-хъ час. дня и отъ 7-ми до 8-ми час. вечера. Лично редакторъ принимаетъ отъ 12—1 час. дня.

Редакторъ-Издатель *Г. І. Амираджиби.*

n 159/1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

დროება

1909 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა. მომავალ წელს გაზეთი გაუმჯობესებული იქნება შინაარსით.

ოფვედ დღიურ. გამოცემის გარდა 1909 წელს გაზეთს ექნება

სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაში ერთხელ—კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კაპ., ერთი თვით—1 მან.

ცალკე ნომერი ეღირებ ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

ვინც 15 იანვრამდე გაზეთს გამოიწერს და სამ მანეთს შემოიტანს, იმას მიეცემა კედლის თვიური პატარა

კალენდარი 1909 წლისა

ხელის-მოწერა ჯერ-ჯერობით მიიღება მხოლოდ ტფილისში:

„დროების“ კანტორაში—დიდი ვანქის ქუჩა, № 12; წერა-კითხვის ხაზოგადოების წიგნის ეაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილთან—სასახლის ქუჩა, თავადაზნ. ქარვასლა; ნაძალადევში მეპურე მელიტონ ღოღობერიძესთან—მაგისტრალნი ქუჩაზე, გრიბოლ ჩარკვიანის სახლში; რკინის გზის მთავარ სახელოსნოში ვანო ჭავჭავაძესთან—ტოკარნი ცეხი.

ხელის მოწერთა საყურადღებოდ

კანტორა უმორჩილესად სთხოვს ახალ ხელის მომწერთ, თუ ვინიცობაა ვერ მოახერხებენ ფულის კანტორაში შეტანას, დამტარებლებს გადასცენ იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უკანასკნელნი კვიტანციას წარუდგენენ.

ხელის-მოწერა რედაქციის კანტორაში შეიძლება: დილით 8-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: **Тифлисъ, Редакція „Дроэба“ И. С. АГЛАДЗЕ.**

მიიღება ხელის მოწერა

1909 წლის

ჯეჯილზე